№ 2887
კვირა,
14 აგვისტო.

ცნობის ფურცელი

№ 2887
კვირა,
14 აგვისტო.

გაზეთი ღირს: ყლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კანტორაში ვანქის [illegible] ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбэ“. ტელეფონი № 37.

ეროვნული

ყოველ-დღიური გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ადგილობრივ და გაგზავნით ღირს: 1 წლით 6 მან., 11 თვით 5 მან. 75 კაპ. 10 თვით 5 მან. 20 კაპ., 9 თვით 5 მან., 8 თვით 4 მან. 50 კაპ., 7 თვით 4 მან. 6 თვით 3 მან. 50 კ., 5 თვით 3 მან., 4 თვით 2 მ. 60 კ., 3 თვით 2 მან., 2 თვით 1 მ. 50 კ. ხელის მოწერა მიიღება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან. გაზეთის გაწერა ერთ თვეზე ნაკლებ არ შეიძლება და არა მეტი წლის ბოლომდის.

ხელის მომწერთ, რომელთაცა ჰსურთ რაიმე ცნობა მიიღონ კანტორიდან ხელის მოწერის შესახებ ან წერილს გზავნიან რედაქციაში, ან ადრესს იცვლიან, „ცნობის-ფურცლის“ კანტორა უმორჩილესად სთხოვთ მათ **გამოუგზავნონ ბანდეროლი ან მოიწერონ ის ნომერი, რომელიც ადრესზეა დაბეჭდილი.**

როცა ვინმე იწერება ადრესის გამოცვლას, მასთანვე ძველი ადრესი და გამოსაცვლელი 40 კაპ. უნდა გამოუგზავნოს რედაქციას. ადრესის გამოსაცვლელი 40 კაპ. შეიძლება ფოსტის მარკებათ გამოგზავნოს.

ცალკე ნომერი გაზეთისა ყოველგან ღირს 3 კაპ. **სურათებიანის დამატებით—5 კაპ.**

იოსებ პეტრეს ძე ჩარექოვი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის

სუსანნა (ალექსანდრა) არტემის ასული ჩარექოვისას,

გარდაცვალებულის გვამს გაასვენებენ თავის ბინიდან (გოლოვინის პრ., სახლი № 28) 17 აგვისტოს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. პანაშვიდები 14, 15 და 16 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (2—2)

ჯავრისაგან შეწუხებულნი **არტემ ივანეს ძე და ანნა ანტონის ასული გურგენოვები** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა ძვირფასი ქალიშვილი პირველთა და მეორეთა

სუსანა (ალექსანდრა) ჩარექოვისა.

გარდაცვალებულს გაასვენებენ თავის ბინიდან (გოლოვინის პრ., სახლი № 28) 17 აგვისტოს, დილის 10 საათზე კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. პანაშვიდები 14, 15 და 16 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (2—2)

სავაჟო პროგიმნაზია ავლაბარში

ამ სამოსწავლო წლის დამდეგიდან ავლაბარში გაიხსნება სავაჟო პროგიმნაზია; ამ ჟამად იხსნება ორი მოსამზადებელი, I და II ძირითადი კლასები. ვისაც ჰსურს მიაბაროს სასწავლებლად თავისი ბავშვი ამ პროგიმნაზიაში, უნდა მიმართოს თხოვნით და თან დოკუმენტები წარუდგინოს ინსპექტორს. თხოვნა მიიღება ამ თვის 11 რიცხვიდან ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 11—1 საათამდე ავლაბარში, ბეგლიაროვის ქუჩაზე, ადამურადოვის სახლში, საქალაქო სკოლაში. სწავლის დაწყების დრო შემდეგ იქნება გამოცხადებული. (3—6.—3)

იშვიათი ვაჭრობა
„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის“
ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი.

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება **იმაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც იხდ გაშრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ. საქონელი** თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.

ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობ. სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—82)

საპედაგოგიო საბჭო

ტფილისის მიხეილის სახელობის სახელოსნო სასწავლებლისა

ამით აცხადებს, რომ, ქალაქის გამგეობის 1905 წლის 12 მაისის დადგენილების თანახმად, მდგომარე წელს მოსწავლეთა მიღების დროს უპირატესობა მიეცემა ქალაქ ტფილისში დაბადებულთ, თუ დედ-მამა წარმოადგენს საბუთის ქაღალდს ამისას, რომ ისინი ტფილისის საოჯახო სიებში არიან შეტანილნი. ამას გარდა ვისაც სასწავლებელში შესვლა ჰსურს, უნდა წარმოადგინოს: დაბადება-მონათვლის მოწმობა, ყვავილის აცრის მოწმობა და იმის მოწმობა, თუ რა სწავლა აქვს მიღებული. (6—6)

ქუთაისის ექვს კლასიან საქალაქო სასწავლებელში (პირველ) შესვლის მსურველთა გამოცდა დანიშნულია ამა 195/6 წლის 23, 24 და 25 აგვისტოსთვის, დილის 8 საათიდან.

სასწავლებელში შესვლის მსურველთ თხოვნა და მასთან ერთად ნათლობის მოწმობა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის ინსპექტორის სახელობაზე დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდე ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა.

საპედაგოგიო კურსებზე შესვლის მსურველთ უნდა წარმოადგინონ ნათლობის მოწმობის გარდა ატესტატი სამოქალაქო, 31 მაის 1872 წლ. დებულ; სასწავლებელში სწავლის დამთავრებისა. (3—6.—3)

ქუთაისის საქალო სამეურნეო საზოგადოების „შრომა“-ს საბჭო ამით აცხადებს, რომ სწავლა **საზოგადოების სამეურნეო სკოლაში** განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამა სამოსწავლო წელს გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო ე. ი. პანსიონერზე ასოცდაათი მანეთი (130 მ.) და მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანეთი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა დაიწეროს სკოლის გამგის სახელზე. ფოსტის ადრესი: Секретарю Совѣта Общества „Шрома“ I. К. Такашвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ городъ Кутаисъ. Контора нотаріуса Анджапаридзе. (7—3)

წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელში თავისუფალი მასწავლებლის ალაგია. ვისაც სურვილი აქვს ემსახუროს ამ ერთად-ერთს ქართულს სამეურნეო სკოლას წრფელის გულით და სიყვარულით სამშობლოისა, უნდა იყოს გამოცდილი პედაგოგი, განვითარებულ ქართულ ენაში და სხვა საგნებში.

ამ სკოლას, თავის წესდებით, აქვს [illegible]თებლობისაგან უფლება, ექვსი წლის განმავლობაში, ყველა სამოსწავლო საგანი, პროგრამაში ნაჩვენები, მოსწავლეთ ქართულად ასწავლოს; რუსული ენა კი სუფევს, როგორც საგანი.

ვისაც სურვილი აქვს მიიღოს ეს ალაგი, იმან უნდა მიმართოს ქ. ტფილისში, მზრუნველს და დამაარსებელს ამ სკოლისას, ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილს, ტფილისის ნოტარიუსს.

მასწავლებელს ექნება სადგომათ ორი ოთახი, თავის ავეჯით, შეშა, ნავთი და სამოცი თუმანი ჯამაგირი წელიწადში.

სკოლა განაგრძობს სწავლას პირველ სექტემბრიდან ამა წლისა, სადაც მიიღებიან მოსწავლეთ ჯანმრთელნი და კარგი ყოფაქცევის ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა. (ნ. 3—2)

კბილის ექიმი
ი. ზ. კანდელაკი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და ხსამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 30. (30—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი ცხანიშვილისა № 15.

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სნეულებით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (30—6.—18)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
12 აგვისტო

პარიჟი, 11 აგვისტო. „ტან“-ში მოთავსებულია სტატია პორტ-სმუტის მოლაპარაკების შესახებ; ეს სტატია ასე თავდება: „რუსეთს, ამდენის მძიმე დამარცხების შემდეგ შორეულ აღმოსავლეთში. შეუძლიან მიიღოს მხოლოდ შემდეგი პირობები: თავის ტერიტორიის მთლიანობის შენახვა და იძულებითი მიარჩენა ფულის მიერ მიყენებული ჭრილობებისაგან, რომელნიც, თქმულებისა არ იყოს, არ არის სასიკვდილო; რუზველტის შუამდგომლობის უარყოფა, რომელიც ამ მიზნისკენ არის მიმართული და ზავის უკვე დამუშავებულ საქმის გადაწყვეტის გადადება, მოასწავებდა სინამდვილის წინაშე თვალების დაბრმავებას და ხელ-ახლა ფეოდალურ სისტემა „არაფერია“-სკენ დაბრუნებას, რაც ვერ მიარჩენს რუსეთის ჭრილობებს“.

ლონდონი, 12 აგვისტო. „მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი პორტ-სმუტში გულმხურვალედ ირწმუნება, ზავი მოახლოვებულია და ამბობს, მე ისეთი ცნობები მაქვს, რაც არც ერთმა ჟურნალისტმა არ იცის და ექვს სიტყვასაც რომ მათქმევინებდნენ, ყველას გაეფანტება ეჭვი ზავის მომავალ შედეგის შესახებაო.

პორტ-სმუტი, 12 აგვისტო. დილით ტაკაჰირამ განაცხადა, ყველაფერი გათავებულია. რუზველტის უკანასკნელი ცდა, მისის აზრით, ვერავითარ ნაყოფს ვერ მოიტანს.

ლონდონი, 12 აგვისტო. ირწმუნებიან, რომ ვიტტე და როზენი მონგოლიაში წავიდნენ, რათა იქ მოელოდებოდნენ პეტერბურგიდან [illegible] დეპეშას ხელმწიფესთან აუდიენციის შესახებ. რუზველტს, ეს რამდენიმე დღეა, მოლაპარაკება აქვს ვიტტესთან.

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. „ვორლდ“-ის კორესპონდენტი სატოსთან იყო საქმის ვითარების შესახებ. სატომ ასეთი პასუხი გასცა: იაპონია ითხოვს 120 მილიონ გირ. სტერლ. და სახალინის ნახევარს. როცა მან გაიგო უკანასკნელ შეკითხვის შესახებ პეტერბურგში, წარმოსთქვა: „ამის შემდეგ ის-ღა დაგვრჩენია, რომ წავიდეთ აქედანაო“.—რუზველტი წინანდებურად არაა დარწმუნებული საქმის წარმატებაში.

აჯიკენტი, 12 აგვისტო. ჯევანშირისა და შუშის მაზრების სომხებსა და თათრებს შორის მომხდარ შეტაკებას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა და მიწყნარდა კიდეც.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრო საჩქაროდ ასრულებს გუბერნიების რეფორმის პროექტს, რათა სახელმწიფო სათათბიროს გადასცეს აზრის გამოსათქმელად. ახალი პროექტი ვრცელდება ყველა გუბერნიებსა და ოლქებზე.—ფინანსთა სამინისტროში შეკვეთ პროექტი სადამღნო უწყების მთავარ სამმართველოდ გადაკეთებისა და მისს უფროსისთვის მინისტრის ამხანაგის უფლებათა მინიჭებაზე.

სიმფეროპოლი, 12 აგვისტო. სევასტოპოლში სამხედრო-საზღვაო სასამართლოში შეუდგნენ ჯავშნოსან „პოტემკინ“-ის მატროსების საქმის გარჩევას. 78 ბრალდებულია.

ორიოლი. ლივენის საერობო საკრებულომ დაადგინა, იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე, ასი ათასის მანეთის სესხებაზე, რათა დამშეულ მცხოვრებთ ზურგი უდგეს.

ოდესა. სახალხო განათლების სამინისტრომ ნება დართო, გახსნან ქალებისათვის ფოსტა-ტელეგრაფის კურსები, რომლების გათავების შემდეგ უფლება მიეცემათ სახელმწიფო სამსახურში შესვლისა.

მოსკოვი. საერთო საერობო ორგანიზაცია ფიქრობს ორას ათას მანეთამდე მისცეს მოუსავლობით შეწუხებულთ.

ლიბავა. გამოცხადდა ალექსანდრე მესამის პორტში მომხდარ არეულობის შესახებ განაჩენი: 8 მატროსს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს, 15-ს 10-დან 4 წლამდის კატორღა, 1 სადისციპლინო ბატალიონი სამის წლით, ორს ოთხიდან 8 თვემდე საპყრობილე, 27-ს კი 5 დღით სასტიკად დაპატიმრება. დანარჩენი გაამართლეს. სულ 137 იყო ბრალდებული. სასამართლომ დაადგინა, იშუამდგომლონ, რომ სიკვდილით დასჯა კატორღაზე შესცვალონ.

კრემენჩუგი. რკინის გზის ლიანდაგზე იპოვეს მოკლულ დარაჯ კრამარენკოს გვამი.

მაგილიოვი. 10 აგვისტოს დნეპრის პირზე ხიდზე მოჰკლეს გოროდოვოი.

კოპენჰაგენი, 12 აგვისტო. ინგლისის დამანში ესკადრამ გაიარა დიდი ბელტი და სამხრეთისაკენ გაემართა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“
12 აგვისტო

სიმფეროპოლი, 12 აგვისტო. გუბერნატორის თავმჯდომარეობით კომიტეტი იხსნება, რომელმაც უზრუნველ უნდა ჰყოს ომში დაღუპულთა შვილები.

პორტ-სმუტი, 12 აგვისტო. სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ ჩქარა ჩამოვარდება ზავი. ეს მოსაზრება ბუნდიდან ცნობებზეა დამყარებული. დღეს რუსის რწმუნებულებმა დეპეშა გაჰგზავნეს პეტერჰოფში. დილით პირსმა გადასცა მათ რუზველტის წერილი, რომელშიაც ახალი წინადადებანია მოთავსებული.

ტოკიო, 12 აგვისტო. კომურას დეპეშის მიღების შემდეგ, მინისტრ-პრეზიდენტმა კაცურამ და გარეშე საქმეთა სამინისტროს გამგემ ინახულეს მარკიზი იტო და დიდხანს იმუსაიფეს მასთან. ჰფიქრობენ, დიდი ამბები მოხდებაო. (რეიტ.).

პეტერბურგი, 12 აგვისტ. გლეხების არეულობაში დამნაშავენი და ძალადობის მხმარებელნი ბალაშოვში განსაკუთრებულ პასუხის-გებაში იქნენ მიცემულნი. შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის, პოლიციის უფროსის [illegible] მოხსენებაზე ბალაშოვში 21 ივლისს მომხდარ არეულობის შესახებ, ხელმწიფემ შემდეგი წააწერა 6 აგვისტოს: „რევოლიუციონურ მოქმედებითა მოთმენა შეუძლებელია და ამასთანავე არ უნდა მისცენ ნება ბრბოს თვითგასამართლებისა“.

პოლიციის დეპარტამენტი იუწყება: მიმდინარე წლის მაისის გასულს ატკარისა, პეტროვსკისა, სარატოვისა და ბალაშოვის მაზრებში, სარატოვის გუბერნიაში, დიდი არეულობა მოხდა გლეხებში—მოაოხრებინეს და გაძარცვეს ბაღები, ცეცხლი წაუკიდეს მემამულეებს და თავს დაესხნენ პოლიციელებს. ამასთანავე ატკარის მაზრაში დაიწყო მეურნე მუშების გაფიცვა, ძალადობა იხმარეს მუშაობის მსურველებზე, იკრიბებოდნენ ტყეში სარატოვიდან მოსულ პირებთან ერთად, რის დროს დაადგინეს, რომ არავინ არ იდოს თუმანზე ძვირად დესეტინა მებატონეების მიწებით. ადგილობრივ საგუბერნიო მთავრობის დახმარებით, გამოწვეულ ჯართა დახმარებით, არეულობა მოსპობილ იქნა. ივნისის პირველ რიცხვებში ასეთივე არეულობა მოხდა სოფ. ტურკში, ბალაშოვის მაზრაში, ამასთანავე ძლიერი პროპაგანდა იყო გამართული, აქეზებდნენ გლეხებს, დაედგინათ განაჩენი და გაეგზავნათ მინისტრთა კომიტეტის წინაშე მემამულეთათვის მიწების ჩამორთმევისა და რადიკალურ პოლიტიკურ პროგრამის შემოღების შესახებ. შემდეგ არეულობა მოხდა ატკარისა, სერდობსკისა და პეტროვსკის მაზრებში: ხელთ იგდეს სათიბები და ცეცხლს მისცეს მემამულეების სახლ-კარი. გუბერნატორმა ჩამოიარა არეულობის ადგილები გლეხებზე გავლენის მოხდენისთვის. თუმცა არეულობა ჯარმა მოსპო და დამნაშავენი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მაინც განახლდა მოძრაობა. რადგანაც მდგომარეობა ძლიერ საშიში იყო ბალაშოვისა და ატკარსკის მაზრებში, სარატოვის გუბერნატორმა წაიყვანა კაზაკები და წავიდა არეულობის ადგილას, სადაც კაზაკებმა ჩააქრეს არეულობა და აღადგინეს წესიერება. გლეხების მიერ მებატონეებისაგან წართმეული ზური-კი უკანვე წაართვეს და პატრონებს დაუბრუნეს. დაატუსაღეს 75 კაცი, რომელთაგან უმეტესი უფრო დამნაშავე ოცდა ათი კაცი გუბერნატორმა ციხეში ჩასვა ერთიდან სამ თვემდე, დანარჩენები, ორის კვირის დაპატიმრების შემდეგ, განათავისუფლეს. არეულობის საქმე გადაეცა გამომძიებელს. ბალაშოვის არეულობა ნამეტნავად გაძლიერდებოდა, მაგრამ მთავრობის მსწრაფლმა და სასტიკმა ზომებმა არ დაანებეს გლეხებს მემამულეთა საკუთრების წართმევა, რაც გულში ჰქონდათ ბოროტ-განმზრახველთ, რომელნიც ჩაუსაფრდნენ სოფ. ტრუბეცინოსთან გუბერნატორ სტოლიპინს, როცა უკანასკნელი მაზრაში შედიოდა და ორჯერ ესროლეს მას; როცა გუბერნატორი ეტლიდან გადმოხტა და გაიქცა საიდანაც სროლა მოისმა, იქითკენ, მას მესამეჯერაც ესროლეს. დამნაშავენი მიიმალნენ. ცოტა ხნით წინ სოფ. ტრუბეცინოში დაეცნენ გლეხები პოლიციის ურიადნიკს, რომელიც ცნობებს ჰკრეფდა ცეცხლის წაკიდების შესახებ; როცა, ორის დღის შემდეგ, მივიდა ადგილობრივი ისპრავნიკი დამნაშავეთა შესაპყრობად, ხალხი დაეცა მას, რის დროს მოთავენი დაიჭირეს დრაგუნთა ჯარის კაცებმა, რომელთაგან ორს ქვები დაჰკრეს თავში.

კოროტოიაკი, 12 აგვისტო. ვორონეჟის საოლქო სასამართლომ სესიაზე გაარჩია საქმე, ნაფიც მსაჯულთა დასწრებით, 106 გლეხისა, სოფ. მასტიუგინოდან; ამათ აგრარულ არეულობის მოხდენა და კანონისთვის წინააღმდეგობის გაწევა ბრალდებოდათ. ამათ თავის ნებაზე მოხნეს ორჯერ, 7-სა და 11 აპრილს, ასი დესეტინის მიწა მემამულეებისა. სამს, მეთაურს, 6—6-ის თვის საპყრობილე გადაუწყვიტეს, ერთს 4 თვის, 73—პოლიციაში სამის კვირით დაპატიმრება, 29-კი გაამართლეს.

ვარშავა, 12 აგვისტო. ქალაქის ქუჩებზე გაკრულია განმარტება ომიანობის დროის წესებისა.

ოდესა. მიმოსვლა განახლდა პორტსა და რკინის გზის ესტაკადაზე.

პეტერბურგი, 12 აგვისტო. საქმეთა საბჭომ სცნო, აეკრძალოთ სახელმწიფოში ინდოეთის ფაკირებს სეანსები საჯაროდ, რადგანაც ისინი ხელმძღვანელობენ ჰიპნოტიზმითა და ანესთეზიით.

სტამბოლსა და სმირნაში განაგრძობენ ჩხრეკასა და ჭერას. სომხების დუქნებში იპოვნეს მღვდლებისა და სალდათების ტანისამოსები შეთქმულებისთვის.

ხარკოვი. ზმიევის მაზრის სოფ. ლიმანში ცეცხლმა ასზე მეტი შენობა გაანადგურა.

ოდესა. ქალაქის თავმა საბჭოში შეიტანა მოხსენება ოდესის დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფის შესახებ.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 12 აგვისტო. დღეს წამოხრჩვეს საიდუმლო პოლიციის უფროსის მცველი ნიკიფოროვი.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

პორტ-არტურის ისტორიიდან. გერმანული კონსერვატიული გაზ. „კრეიც ცაიტუნგ“-ი საინტერესო ცნობებს იუწყება პორტ-არტურის კაპიტულიაციაზე. სხვათა შორის, გაზეთი სწერს: „როგორც ცნობილია, პორტ-არტურის კაპიტულიაციის დროს, გენ. ნოგიმ რუსებს სრული სია მოსთხოვა ყველა ქონებისა, რაც-კი ციხეში ჰქონდათ. გენ. სტესელმა განკარგულება მოახდინა, მოთხოვნილი სია,—რასაკვირველია, დავთრებიდან,—შეედგინათ და იაპონელებისათვის გადაეცათ, მაგრამ მალე დიდი განსხვავება აღმოჩნდა გენ. ნოგისა და გენ. სტესელის სიებ შუა. გენ. ნოგის სიაში გაცილებით მეტი ქონება იყო ჩამოთვლილი, ვიდრე გენ. სტესელის სიაში. იაპონელებმა პორტ-არტურში 150 ათასი ტონა საუკეთესო ქვა-ნახშირი იპოვეს, როდესაც რუსები ამბობდნენ, ციხეში ქვა ნახშირი არა გვაქვს და ამის გამო ფლოტიც ვერა მოქმედებსო. ამას გასაგებად საჭიროა შემდეგი ვიცოდეთ: რუსეთის ყველა სამხედრო ნავთ-სადგურში—ლიბავასა, მიტავასა, სევასტოპოლსა და მაშასადამე პორტ-არტურშიაც შემდეგი წესი სუფევდა. თუ სამხედრო გემს ზღვაში გასვლის დროს, ვსთქვათ, 5 ათასი ტონა ქვა-ნახშირი მიჰქონდა, დავთრებში 8 ათასი, ან 10 ათასი ტონა იწერებოდა. დანარჩენი 2 ან 4 ათასი საწყობში რჩებოდა, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, დავთრებში-კი არ ინიშნებოდა. თანდათან დიდ ძალი ქვა-ნახშირი გროვდებოდა და საზღვაო მოხელეები ამ ნახშირს იჯარადრებზე ჰყიდნენ დაბალ ფასად. იჯარადრებიც თავიანთ მხრივ რუსის საზღვაო სამინისტროს აბარებდნენ, ასე რომ საზღვაო სამინისტრო ორჯერ ჰყიდულობდა ერთსა და იმავე საქონელს. რაკი ნახშირი სამინისტროს ხელში გადავიდოდა, მოხელეები ხელ-ახლად იწყებდნენ ქვის ალებ-მიცემობას, [illegible] ქვა-ნახშირი ხან ქრებოდა დავთრებიდან, ხან ისევ უკან ბრუნდებოდა იჯარადრებისა და საზღვაო მოხელეების სასარგებლოდ. დავთრებში ცოტა რამ ცვლილება ხდებოდა, იჯარადრებისა და მოხელეების ჯიბე-კი თითქო სასწაულის ძალით სქელდებოდა. მაგრამ რაკი იაპონელებმა პორტ-არტურს ზღვიდან ალყა შემოარტყეს და რუსის გემები ზღვაში ვეღარ გავიდა, ესეთი საქმეები შეუძლებელი გახდა; ბუხჰალტრები და მეტადრე დაინტერესებული მოხელეები სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ: 7 მილიონ მანეთის ქვა-ნახშირი მუქთად წაიღეს იაპონელებმა. საქმე იმაშია, მოახერხებს ახალი საზღვაო მინისტრი ბირილევი ამ მშვენიერ „ჩვეულობის მოსპობას, თუ ვერა“. („ს. ო.“)

რუსის ინჟინრები და ინტენდანტები. „პრიამურსკი ვედომოსტი“-ში დაბეჭდილია პორტ-არტურში მოკლულ, ცნობილ გენ. კონდრატენკოს წერილი. გენ. კონდრატენკო, სხვათა შორის, სწერს: „გამოირკვა, რომ ჩვენი სამხედრო ინჟინრები სრულებით არა ჰშველიან ჯარსა, იმის ინტერესებისათვის სრულიადით არა ზრუნავენ, საფრების აშენებაში ხელს არ უწყობენ და თითქმის მხოლოდ ხაზინის გაქურდვას უნდებიან. ამიტომ ინჟინრები მარტო იმ საქმეებს ჰკიდებენ ხელსა, სადაც ჩინელების დაქირავება შეიძლება; დაქირავებულ მუშების რიცხვს თავიანთ ანგარიშებში საშინლად უმატებენ და ამით მდიდრდებიან. იმ საქმეებს-კი, სადაც მხოლოდ ჯარი მუშაობს, ინჟინრები საშინლად აფერხებენ. ასე მოქმედებს საინტენდანტოც: ჯარს ფეხ-საცმელი, ტანისამოსი,

იარაღი აკლია; ჯარის ნაწილს შინიდან მოტანილ დახეულ ნაბდის ფეხ-საცმელი აცვია, ჩვენი ინტენდანტები-კი მხოლოდ იმის ფიქრში არიან, როგორ გამოჰგლიჯონ ჯარს უსაჭიროესი ნივთები. ერთის სიტყვით, ინტენდანტები და ინჟინრები თავსა სჭრიან ჩვენს არმიას“. („ს. ო.“).

„სინ ოტეჩესტვა“ შენიშნავს: ეს მეტად მძიმე ბრალდება უყურადღებოდ არ უნდა დასტოვოს პორტ-არტურის კაპიტულიაციის გამოსაძიებლად დანიშნულმა კომისიამ.

ზავზე მოლაპარაკება. რუსეთისა და იაპონიის რწმუნებულნი დღემდე შემდეგ მუხლებზე მორიგდნენ: იაპონიას უპირატესობა ეძლევა კორეიაში, რუსეთმა ჯარი უნდა გაიყვანოს მანჯურიიდან, მანჯურიაში ჩინეთის მმართველობა იქნება აღდგენილი, ჩინეთის სამფლობელო ხელუხლებელი უნდა დარჩეს, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულისა, პორტ-არტურისა და დალნის საიჯარო უფლება რუსეთმა იაპონიას უნდა გადასცეს, მანჯურიის რკინის გზა ხარბინის სამხრეთით პორტ-არტურამდე ჩინეთს უნდა გადაეცეს, იაპონიას თევზის ჭერის უფლება ეძლევა ვლადივასტოკის ჩრდილოეთით ციმბირის ნაპირებსა და ბერინგის სრუტეში.

გადასაწყვეტი დარჩათ: 1. კუნძულ სახალინის საქმე, 2. სამხედრო საზღვაურის გადახდა, 3. რუსის იარაღ-აყრილი გემები ნაიტრალურ პორტებში იაპონიას უნდა გადაეცეს და 4. რუსეთის ფლოტის შეზღუდვა შორეულ-აღმოსავლეთში.

თუ დეპეშებს დავუჯერებთ, იაპონიამ ორ უკანასკნელ მუხლზე სულ ხელი აიღო, სახალინის ჩრდილოეთ ნახევარს რუსეთს უბრუნებს და სამაგიეროდ 1200 მილიონ მანეთს სამხედრო საზღაურს თხოულობს, მაგრამ რუსის რწმუნებულნი ასეთ ზომიერ პირობასაც არა სთანხმდებიან და დაჟინებით აცხადებენ, სამხედრო საზღაურს არ გადაიხდის რუსეთიო. როგორ წავა საქმე და შერიგებით დასრულდება მოლაპარაკება, თუ ჩაიშლება, ამის გამოცნობა მეტად ძნელია, მით უმეტეს რომ წინანდებურად არეული, ერთი მეორის წინააღმდეგი დეპეშები მოდის პორტ-სმუტიდან. გაზეთების ცნობებიც არაა ნაკლებად არეული და ჭრელი. ზოგ ცნობას თუ დავუჯერებთ, მოლაპარაკება საცაა ჩაიშლება.

„მატენ“-ის კორესპონდენტი იუწყება: იაპონელმა დეპუტატმა მაცუმოტომ მითხრა პორტ-სმუტში: არ ვიცი, რა რაინად შეთანხმდებიან რწმუნებულნი. ეხლა ოთხი მუხლი დარჩათ მისაღები: სამხედრო საზღაურის გადახდა, სახალინის დათმობა, ნეიტრალურ პორტებში რუსის იარაღ-აყრილ გემების დათმობა და რუსის ფლოტის ძლიერების შეზღუდვა წყნარ ოკეანეში. მგონია, რომ იაპონია ორ უკანასკნელ მუხლში დაუთმობს რუსეთს, მაგრამ განა რუსეთი პირველ ორ მუხლს მიიღებს? ყველანი გვეუბნებიან, ბ. ვიტტე არას დროს არ დასთანხმდება ამ ორ მუხლსაო. ამიტომ ყოველ წამს ველი მოლაპარაკების შეწყვეტას. რისთვის-ღა უნდა დავკარგოთ დრო, როცა წინადვე ვიცით, რომ არავითარი შეთანხმება არ მოხდებაო.

ინგლისური გაზ. „სტანდარდ“-ი სწერს: „თითქმის შეუძლებელი გახდა შეთანხმება. იქნება რუსეთს მხოლოდ დროს მოგება ჰსურდა, მაგრამ იაპონელებმა წინადვე იცოდნენ, რომ მოლაპარაკების ჩაშლა შესაძლებელი იყო და მანჯურიაში რუსების [illegible] გასანადგურებლად მოემზადნენო. („რ. ს.“).

ვენური გაზ. „ნ. ფრ. პრესე“ სწერს: „რუსები არც ერთ ფეხის გადადგმა ადგილის დათმობასა და არც ერთ გროშ სამხედრო საზღაურის გადახდას არა სთანხმდებიან. იაპონელები-კი ბეჯითად თხოულობენ ადგილსაც და კონტრიბუციასაც. ვიტტეს რიხიანს სიტყვები, ვითომ ლიაოიანისა, პორტ-არტურისა, მუკდენისა და ცუსიმას შემდეგ, რუსები თავიანთ თავს დამარცხებულად არა ჰგრძნობენო, ეტყობა, არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენენ იაპონელებზე. („ს. ო.“).

„ტრიბუნა“ იუწყება: ამბობენ, მოლაპარაკების დროს ვიტტემ უთხრა კომურასაო: „რად უნდა გადავიხადოთ კონტრიბუცია, როდესაც ჩვენ სრულიადაც არა ვართ განადგურებულნიო?—„დიახ, მაგრამ თქვენ დამარცხებულნი ხართო“—დინჯად უპასუხა კომურამაო. („რ. ს.“).

სამაგიეროდ ბევრი ირწმუნება, რუსეთი იძულებულია, მოურიგდეს იაპონიას, რადგან ფულს ვერ შოვობს ომის გასაგრძელებლადაო.

„ბელგიური გაზ. „ინდეპანდანს ბელჟ“-ი სწერს: „რუსეთი ევროპაში ომის გასაგრძელებლად ფულს ვერ იშოვის. სამხედრო საზღაურის გადასახდელად-კი იშოვის. ეს კარგად იციან პეტერბურგში. რაც უნდა დაჯდეს და რაც უნდა დიდი დაბრკოლება აღმოჩნდეს, შერიგება მაინც უსათუოდ მოხდება. გინდ პორტსმუტში მოლაპარაკება დროებით შესწყდეს კიდეც, მაინც ზავის იმედი ნუ დაგვეკარგებათ. ბ. ვიტტეს ძლიერ კარგად ესმის, რა დიდ პასუხს გებაში ჩავარდება, იცის კარგად ისიც, რა უბედურება მოელის რუსეთს, თუ შერიგება არ მოხდა. („ს. ო.“)

იტალიური ოფიციოზური გაზ. „ტრიბუნა“ იუწყება: ირწმუნებიან, რუსეთი არა თუ მარტო მზადაა, ზომიერი სამხედრო საზღაური გადაიხადოს, თადარიგიც-კი დაიჭირა საჭირო ფულის საშოვნელადაო. („ს. ო.“)

ამერიკული გაზეთები კიდევ იუწყებიან: „ნიუ-იორკის ბანკირები ვიტტეს ფულის სესხებას დაჰპირდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ რუსეთი იაპონიას შეურიგდება და შინაურ რეფორმებს მოახდენსო.

იმპერატორ ვილჰელმის რჩევა. „მორნინგ პოსტ“-ს ატყობინებენ ვაშინგტონიდან: ბიორკეში რუსეთის იმპერატორთან შეხვედრის შემდეგ, იმპერატორმა ვილჰელმმა დეპეშით აცნობა რუზველტს: რუსეთს დარიგება მივეცი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეურიგდეს იაპონიას, თუ იაპონიის პირობა მისაღები იქნება და რუსეთის ეროვნულ სახელსა და ღირსებას არ შეულახავსო. („ს. ო.“)

კამჩატკა. „დეილი ტელეგრაფ“-ს დეპეშით ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონელები მალე დაიჭერენ კამჩატკასაო. რუსებს კამჩატკაში სულ ერთი ბატალიონი ჯარი ჰყავთ და ამ ბატალიონს ხმელეთით არავითარი კავშირი არა აქვს დანარჩენ რუსის ჯართანაო.

იაპონიის გავლენა ჩინეთის განათლებაზე. იაპონური გაზ. „ჯეპან ჰერალდ“-ი (ინგლისურ ენაზე გამოდის) სწერს: ყოველ გემს შანხაიდან იაპონიაში 200—300 ჩინელი სტუდენტი მოჰყავს. 10 წლის წინად, ჩინეთ-იაპონიის ომის გათავების შემდეგ, ჩინეთიდან მხოლოდ ორი სტუდენტი გაგზავნეს იაპონიაში სასწავლებლად. ამ ჟამად-კი იაპონიის სკოლებში ტოკიოში 3,716 ჩინელი დაიარება და ამას გარდა 5,500 კაცი ვაკანსიას ელის. იაპონიაში ბევრი სპეციალური სკოლაა გახსნილი ჩინელებისათვის. ჩინელი სტუდენტები საშუალოდ 20—30 წლისანი არიან, მაგრამ იმათში ზოგი მოხუციც ურევია 60, 64 და 65 წლისა. („ს. ო.“).

◆

პეტერბურგის პრესსა 6 აგვისტოს კანონის შესახებ

პეტერბურგის გაზეთები, ორიოდეს გარდა, უფრო აღფრთოვანებულნი არიან ახალის რეფორმით, ვიდრე მოსკოვისა. „რუს“-ი, „სლოვო“, „ნოვ. ვრ.“, „ბირჟ. ვედომ.“, „პეტერბ. ვედომ.“, „რაზსვეტ“-ი და სხვანი დიდის იმედებით გამსჭვალულან, ბევრს რასმე გამოელიან სახელმწიფო სათათბიროდან და იწვევენ რუსის ერს, შეურიგდეს ბიუროკრატიას და მასთან ერთად იმოღვაწოს “განახლებულ რუსეთის“ საკეთილდღეოთ. განზე დგანან მხოლოდ „სინ ოტეჩესტვა“ და „ნაშა ჟიზნ“; უკანასკნელს პირველ დღეს (7 აგვისტოს) სრულიადაც არაფერი უთქვამს, მაშინ როდესაც ყველა სხვა გაზეთებში მრავალი წერილებია ახალ კანონის შესახებ... ჩვენ მოვიყვანთ აქ მხოლოდ ზოგიერთ გაზეთის საყურადღებო შენიშვნას, რადგან დაწვრილებით ყველა გაზეთის აზრის გადმოცემა არ ღირს: თითქმის ერთსა და იმავეს ამბობენ როგორც კონსერვატიული, ისე ლიბერალური გაზეთები.

კონსერვატიულ წრეების საზოგადო აზრის გამომთქმელი „ნოვ. ვრემ.“-ა, რაღა თქმა უნდა, დიდმნიშვნელოვან რეფორმად სთვლის 6 აგვისტოს კანონს. გაზეთის მეთაურში, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

„დღეს, 6 აგვისტოს, ფერისცვალების დღესასწაულ დღეს, რუსეთმაც იცვალა ფერი და ახალი ცხოვრება დაიწყო... დღეს უდროო იქნება, დიდებულ რეფორმის კრიტიკულად განხილვას შევუდგეთ. საკმარისია ისიც, რომ ამიერიდან სახელმწიფო საქმეები ცხრა-კლიტულში არ ექნება ბიუროკრატიას, ხალხისაგან არჩეულთ ნება ექმნებათ მონაწილეობა მიიღონ მათ განხილვასა და მართვაში. დაიმხო ის კედელი, რომელიც საუკუნოების განმავლობაში აღმართული იყო მეფისა და ხალხის შუა. ამიერიდან ხალხის ხმას, ერის საზოგადო აზრს გაიგონებს მეფეც და მთელი ქვეყანაც... ახალი რეფორმა არ ზღუდავს მთავრობას; მისი მთავარი მნიშვნელობა წმინდა ზნეობრივია: იგი ჰქმნის ისეთს პირობებს სახელმწიფო მოღვაწეობისათვის, რომ ამიერიდან ამ მოღვაწეობას უნდა გაშორდეს ყოველი სიყალბე, ყოველივე, რასაც-კი სინათლის ეშინოდა და რაც ხალხის ინტერესების წინააღმდეგია. . ეს არ არის დასავლეთ ევროპისებური კონსტიტუცია; როგორც იქაურ კონსტიტუციებს, ისე ჩვენსასაც თავისი ისტორია ექმნება, რადგან ახალი კანონი უკანასკნელი სიტყვა კი არის, არამედ პირველი სიტყვაა რუსის ხალხის პოლიტიკურის აზროვნებისა. ჩვენ ღრმად გვრწამს, რომ დიდებული რუსის ხალხი თავის სულის სიღრმეში შეიმუშავებს ახალს პოლიტიკურს იდეალებს და თავის წვლილს შეიტანს მთელის კაცობრიობის ცხოვრებაში. ახალი რეფორმა სწორედ ამ შემოქმედებით ძალებს ხალხისას აძლევს ფართო გზას“...

როგორც ჰხედავთ, „ნოვ. ვრემია“-ც კი პირველ ნაბიჯის მნიშვნელობას აძლევს ახალს რეფორმას, საჭიროდ სთვლის მომავალში კანონის გაუმჯობესობას, მაგრამ გადაჭრით ამბობს—დღეისთვის ესეც საკმარისიაო...

ამ წერილის გარდა „ნოვ. ვრ.“-ს სულის ჩამდგმელიც, ა. ს. სუვორინიც, უძღვნის წერილს ახალს კანონს. სუვორინის წერილში ერთი მეტად საყურადღებო ადგილია, რომელიც განაპირა ქვეყნებს შეეხება. წარმოიდგინეთ, ბ-ნი სუვორინი ამტკიცებს: „ერთის საიმპერიო კონსტიტუციის გარდა ჩვენ, ალბად, კიდევ დაგვჭირდება რამდენიმე კონსტიტუცია განაპირა ქვეყნებისათვის. არც ინგლისი, არც ამერიკის შტატები არ კმაყოფილდებიან ერთის კონსტიტუციით: პირველში 20 კონსტიტუცია მოქმედობს სხვადასხვა კოლონიებისათვის, მეორეში—49 სხვადასხვა შტატისათვის“... ამ რიგად ბ. სუვორინიც ემხრობა რუსის იმ დემოკრატიულ ელემენტებს, რომელთაც პრინციპიალურად აღიარებს ეროვნულ ტერიტორიულ ავტონომიების საჭიროება. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ „ნოვ. ვრ.“-ს პუბლიცისტების იმედი ტყუილად გვექნება: კვირაში შვიდი პარასკევი აქვთ...

სუვორინის შვილიც აღფრთოვანებულია, თუმცა მამასავით არა. „რუს“-ის მეთაურში ვკითხულობთ:

„6 აგვისტოს რეფორმამ მოსპო რუსეთის ბიუროკრატიის თვითნებობა,—მოსპო იმ ბიუროკრატიის ბატონობა, რომელთა ბრძოლისათვის მთელი რუსეთი შეერთდა და რომელმაც საშინელ ზნეობრივსა და მატერიალურს გათახსირებამდე მიიყვანეს რუსეთი. ეჭვს გარეშეა, რომ ბიუროკრატიის სულთბრძოლა კიდევ დიდ ხანს გაგრძელდება და რუსეთმა კიდევ ბევრი მსხვერპლი უნდა მოიტანოს, რომ გაუთანასწორდეს ევროპის კულტურულ ქვეყნებს... მაგრამ მხოლოდ ბრმა უარჰყოფს იმ ფაქტს, რომ რუსეთმა რუბიკონ გადააბიჯა, წინანდელ გზას გვერდი აუხვია და ახალ ცხოვრებას იწყებს... რეფორმა ბევრს არ დააკმაყოფილებს; როგორც ვიცით, ბევრი იმ აზრსაც ადგა, რომ სახელმწიფო სათათბიროს ბოიკოტი გამოეცხადოს, არავინ მივიდეს არჩევანებზე. ამათ „ვესტნიკ ევროპი“-ს სიტყვებით ვუპასუხებთ: საარჩევანო სისტემის უვარგისობის შეგნება ვერავის დაუშლის მონაწილეობა მიიღოს იმ დაწესებულებაში, რომელიც არჩეულია ამ სისტემის მიხედვით. სწორედ სისტემის გაუმჯობესობისათვის, სწორედ საუკეთესო სახალხო წარმომადგენლობის დამყარებისათვის საჭიროა ახალს დაწესებულებაში მონაწილეობის მიღება... მაშ, შევვერთდეთ ყველანი საერთო მუშაობისათვის. გვახსოვდეს, რომ ყველანი ახალ რუსეთის მოქალაქენი ვართ და რომ საჭიროა დავივიწყოთ წარსული,—დაივიწყოს იგი მთავრობამაც, საზოგადოებამაც, ხალხმაც,—რათა უფრო მედგრად შევუდგეთ რუსეთის საუკეთესო მომავალის შექმნას... აუცილებელი პირობა ამ საუკეთესო მომავალისათვის სამუშაოდ ამნისტია არის,—ამნისტია ყველას, ვინც-კი იტანჯება რუსეთის განთავისუფლებისათვის“.

ამნისტიასა, ბეჭდვითი სიტყვით თავისუფლებასა, კრების თავისუფლებასაც სხვა გაზეთებიც მოითხოვენ: „რაზსვეტ“, „ბირჟ. ვედომ.“, „სლოვო“, „პეტერბ. ვედომ.“-იც საჭიროდ სთვლიან „ელემენტალურ პოლიტიკურ უფლებათ“; თუ სიტყვისა და კრების თავისუფლებაც გამოცხადდება, 6 აგვისტოს რეფორმა დიდმნიშვნელოვანი აქტი იქნება და ჩვენ დაგვაკმაყოფილებს დღესდღეობითო, ამბობენ ხსენებული გაზეთები. მაგალითად „სლოვო“ სწერს: „მხოლოდ პრესსის და კრების თავისუფლებას შეუძლია შექმნას ის პირობანი, რომელთა მეოხებით შეუძლია წესიერი და ნაყოფიერი მოღვაწეობა ახალს დაწესებულებას; სახელმწიფო სათათბირო მხოლოდ მაშინ იქნება ნამდვილი გამომხატველი ქვეყნის საზოგადო აზრისა, როცა პრესსა და კრება იქნებიან თავისუფალნი“...

მაშასადამე, პეტერბურგის ლიბერალური პრესსაც კმაყოფილია 6 აგვისტოს რეფორმით: იგი იდეალური არ არის, მაგრამ შემდეგში გაუმჯობესდებაო, საჭიროა მხოლოდ პრესსა იქმნას განთავისუფლებული და ხალხს მიეცეს ნება თავისუფლად შეკრებისა და სჯა-ბაასისაო...

ვნახოთ ეხლა რას ამბობენ უფრო რადიკალური გაზეთები. ვ.

ახალი ამბავი

◆ დღეს, 14 აგვისტოს, ალექსანდრ-ნეველის სამხედრო ტაძარში წირვისა და პარაკლისის შემდეგ გამოაცხადებენ **უმაღლეს მანიფესტს** სახელმწიფო სათათბიროს დაარსების შესახებ.

◆ როგორც ოფიციალურად გამოცხადებულია, **წარმომადგენელნი სახელმწიფო სათათბიროში** ამიერ-კავკასიის ქალაქებიდან ეყოლებათ მხოლოდ ტფილისს და ბაქოს. ტფილისში წარმომადგენელთა ასარჩევად, როგორც გავიგეთ, მიღებულ იქნება ის საარჩევნო სია, რომელსაც ტფილისის საბჭოს ხმოსანთა ასარჩევად ხმარობენ. ამ სიაში შეტანილ იქნებიან ისინი, რომელნიც ბინის გადასახადს იხდიან. მთელი ქალაქი აარჩევს 80 კაცს, ხოლო ეს უკანასკნელნი აარჩევენ იმდენ წარმომადგენელს, რამდენსაც კანონი აკუთვნებს ტფილისს. ესევე წესი იქნება მიღებული ბაქოში.

◆ საქართველოს ეგზარხოს ნიკოლოზს გუშინ წინ წარუდგნენ **გურია-სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტატები და** გადასცეს საეპარქიო სამღვდელოების მიერ შემუშავებული პეტიცია სამღვდელოებისა და საზოგადოდ ეკლესიის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. გურია-სამეგრელოს სამღვდელოება თავის პეტიციაში უერთდება ქართლ-კახეთის სამღვდელოების დადგენილებას. სამღვდელოება, სხვათა შორის, თხოულობს ადგილობრივ სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველისა და საეპარქიო საბჭოს მდივნის სამსახურიდან დათხოვნას. ეგზარხოსმა განუცხადა დეპუტატებს, რომ პირველ საკითხის შესახებ მე არა შემიძლიან რა, ამის განხილვას უწმ. სინოდი შეუდგა და უნდა დავუცადოთ გადაწყვეტილებას; რაც შეეხება ზედამხედველისა და მდივნის დათხოვნას, აღნიშნულ ეპარქიაში მალე დაინიშნება ეპისკოპოსი, ის გამოიკვლევს მაგ საქმეს, შემდეგ განვიხილავთო.

◆ გენერალს თავ. ამილახვარს, როგორც „კავკაზ“-ი გადმოგვცემს, გამოუცია **მოწოდება ქართლის გლეხობის მიმართ.** ამ მოწოდებაში თავ. ამილახვარი ურჩევს თურმე გლეხობას, წყნარად და მშვიდობიანად მოიქეცით, თორემ სასტიკად დაისჯებითო.

◆ 1900 წლის 5 ივნისის უმაღლეს ბრძანების ძალით **სახელმწიფო ადგილები უვადოდ ეძლევა სოფლის საზოგადოებებს,** ცალკე სოფლებს და გლეხთა ამხანაგობებს. ეს უმაღლესი ბრძანება კავკასიის გუბერნიებსა და ოლქებზე არ არის გავრცელებული და მარტო შიდა გუბერნიებს ეხება. ჩვენს მხარეში სათანადო დაწესებულების განკარგულებით სახელმწიფო ადგილების საიჯაროდ გაცემის დროს წინდაწინვე ვაჭრობა ინიშნება და ადგილი, სოფლის საზოგადოებათა და გლეხის ამხანაგობათა გარდა, ეძლევა კერძო პირებს, წოდების გაურჩევლად. კერძო პირები თავიანთ მხრივ ამ ადგილებს იჯარითვე აძლევენ სოფლის საზოგადოებებს და გლეხთა ამხანაგობებს და უზომო ფულს ახდევინებენ. რადგან ასეთი მდგომარეობა გლეხობას გაჭირვებაში აგდებს და თანაც უკმაყოფილებას და მოძრაობას იწვევს, ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა შუამდგომლობა აღძრა ნამესტნიკის წინაშე, რომ ზემო აღნიშნული 5 ივნისის უმაღლე-

---

ფელეტონი

პატარა ამბები

„შესრულდა!“—ისტორიამ მარტო განმეორება იცის?—გორის შავი რაზმი.—„კახეთის“ მოსამსახურეთა გაფიცვა.—კიდევ ბ. თ. ჟორდანია.

„შესრულდა“, როგორც მთავრობის გაზეთები ამბობენ, და მთავრობამ უმოწყალესად გვიწყალობა სახელმწიფო სათათბირო; გვიწყალობა არა კონსტიტუცია, არა პარლამენტი, არა ზემსკი სობორი, არამედ სახელმწიფო სათათბირო...

ავაა, თუ კარგია ეს სათათბირო, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი. უკეთეს შემთხვევაში ანდაზა ამბობს: ნაჩუქარს ცხენს კბილები არ გაესინჯებაო. . .

ახალი სათათბირო, მოკლედ რომ ვსთქვათ, სახელია მხოლოდ, სახრავს კი არაფერს წარმოადგენს, განსაკუთრებით ჩვენთვის. სათათბირო მდიდრებისათვის არის დაარსებული, ასეთები კი ჩვენში შედარებით ცოტაა და ვინც არის, რასაკვირველია, თავისთავის იზრუნებს და არა ხალხისათვის, უმრავლესობისათვის.

ხალხს იმიტომ არ მისცეს სათათბიროში მონაწილეობას მიიღებს უფლება, რომ მომზადებული და შეგნებული არ არის, არ შეუძლია თავის თავს უპატრონოს, თავისი გაჭირვება და დაღხინება გაიგოსო. . .

სათათბირო, როგორც თვითონ სახელი გვიჩვენებს, სათათბიროა, სალაპარაკო დაწესებულებაა მხოლოდ. იქ შეკრებილებმა უნდა ილაპარაკონ, იბაასონ, ისაუბრონ მხოლოდ, რისამე დადგენის და საქმის გაკეთების უფლება კი არ ექნებათ. ამისათვის არც მდიდრები და ცენზიანები არიან მომზადებულნიო. . .

ამგვარი სათათბირო, თუ რუსის პატრიოტებს დაუჯერეთ, სრულიად შეეფერება რუსის ხალხის ხასიათს, რომელსაც უყვარს მარტო თავის აზრის გამოთქმა, მაგრამ კი არ უყვარს, რომ ეს მისი აზრი განხორციელდეს. რუსის ხალხს არ უყვარს პოლიტიკა, სახელმწიფო საქმეებში ჩარევა, მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღება, არ უყვარს პოლიტიკა, არ უყვარს პოლიტიკური უფლებები, პოლიტიკური თავისუფლება, მაშასადამე. . .

მაშასადამე... აქ წამოხტებიან გრინგმუტ-მეშჩერსკები და იწყებენ ხმა მაღლა ძახილს: „მაშასადამე რაკი რუსის ხალხი პოლიტიკური თავისუფლების წინააღმდეგია, იგი მომხრეა პოლიტიკური მონობის; მაშასადამე რუსის ხალხს არ უნდა, რომ თვითონ იყოს თავისი პატრონი, თავისი ცხოვრების გამგებელი, იგი მზადაა სხვისი ლუკმა იყოს, სხვისთვის იმუშაოს, სხვისთვის იცხოვროს და მოკვდეს, სხვისთვის იტანჯოს.

ამიტომ რუსის ხალხს არ უყვარს თავისი უფლებები, არ უყვარს ამ უფლებებზედაც ლაპარაკი და თათბირი, ამიტომ არაა საჭირო სათათბიროებიო“. . .

რუსის ხალხის არსებითი თვისებაა, გვიმტკიცებენ მეშჩერსკისთანა პატრიოტები: მუდამ სხვისი მორჩილება. ასე ამბობდნენ ამ ას ოცი წლის წინად საფრანგეთის ხალხის შესახებაც...

ძალა-უნებურად მაგონდება საფრანგეთის გენერალური შტატები, რომლების მოწვევა დიდხანს არ უნდოდათ; მაგონდება ნაციონალური დამფუძნებელი კრება, საკანონმდებლო კრება, ნაციონალური კონვენტი. . .

მაგონდება ერთი ამბავიც. 1789 წლის საფრანგეთის სამეფო ალმანახში დაბეჭდილია სია მაშინდელი ცენზორებისა, რაიც მშვენიერად ახასიათებს იმ დროის საზოგადოების და მწერლობის მდგომარეობას. ალმანახიდან სჩანს, რომ იყო ოცდა ცამეტი ცენზორი კანონმდებლობისათვის, ოცდა ერთი—მედიცინისათვის, ხუთი ანატომიისათვის, რვა—ბუნებისმეტყველების ისტორიისა და ქიმიისათვის, ცხრა—მათემატიკისა და ფიზიკისათვის, ოთხმოცი (მათ რიცხვში ოცდა ერთი აბატი) სიტყვა-კაზმულ მწერლობისა და ისტორიისათვის. სულ ას-ოთხმოცდა თექვსმეტი ცენზორი! ქიმიის და ფიზიკის კანონებისაცკი ეშინოდა მაშინდელ მთავრობას და სამღვდელოებას და ცენზორების დახმარებით უნდოდათ ბუნების კანონების აღკვეთა!

სასტიკად სდევნიდნენ მწერლებს. ცეცხლში დასწვეს გაზეთების მოხსენება, რომელიც მეფეს წარუდგინეს მათ. ჟურნალ-გაზეთებს წამდაუწუმ ატუსაღებდნენ და სპობდნენ. განსაკუთრებული კომისიები იყო დანიშნული ფოსტაში წერილების გასასინჯავად. მთავრობა არავითარ უფლებას არ სცემდა პატივს. უსამართლოდ ართმევდნენ ქალაქებს ათასჯერ შეძენილ და შესყიდულ უფლებებს. ერთი სამინისტრო მეორეს ებრძოდა, ერთი კანცლერია—მეორეს. სასამართლო არსად არსებობდა, ქრთამით და პროტექციით კეთდებოდა ყველაფერი. ხაზინა ცარიელი იყო, სახელმწიფო ვალი დღითი-დღე იზრდებოდა. ურიცხვი ფული იხარჯებოდა მეფის და მის ნათესავების გასართობად. მთავრობა გადატაკებული იყო გონებრივად და ზნეობრივად, არავის არაფერი გაეგებოდა სახელმწიფო საქმეებისა, არავინ ზრუნავდა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის. ყველა ჩამორჩომაზე და პირად სარგებლობაზე ფიქრობდა; მკვდარი იყო მოქალაქეობრივი პატიოსნება და თავ-მოყვარეობა..

საფრანგეთის მეფე ლუი მეთექვსმეტე მეფობდა ღვთისათ შეწევნით და დარწმუნებული იყო, რომ მისი ერთგულნი ქვეშევრდომნი კმაყოფილნი იყვნენ. . .

* *

ისტორიამ განმეორება იცისო, იტყვიან, ეს მთლად მართალი არ უნდა იყოს. ისტორიამ უკეთესი და უკეთესი მაგალითების ჩვენება იცის ხოლმე, და ვინც ენის ნათქვამს ვერ გაიგებს, იმას მიწის ძგრობით და ჭექა-ქუხილით გააგებინებს თავის აზრებს.

განა პორტ-არტური არის განმეორება მხოლოდ? ან მუკდენი და ცუსიმა თავის ნამდვილის სახით განმეორდება და არ შეიცვლება? გრინგმუტი, სუვორინი, მეშჩერსკი განმეორებული ტიპებია და არა უარესი?

მართალია, რეაქციონერები წინადაც ყოფილან, სხვაგანაც არიან, მაგრამ რასაც დღეს რუსეთში ვხედავთ, ძნელად წარმოსადგენია. ქვეყანა გადატაკებულია, უზომო შევიწროვებამ მიწასთან გაასწორა ხალხი; ყველას ადამიანობა სწყურია, უფლება უნდა. ხმა მაღლა თხოულობს თავისუფლებას, თხოულობს თანამედროვე წყობილების შეცვლას. . .

ამ დროს გამოდიან პატრიოტები და უქადაგებენ ხალხს: მთავრობა კი არა იაპონიაა შენი მტერი, იმას ებრძოლე, იმას და თუ იმას დაამარცხებ, მაშინ ყოველივე ბედნიერება მოგენიჭებაო.

გამოდიან და ურიგებენ ხალხს რაღაც წიგნაკებს: წაიკითხეთ და ცხონდებით, მეტი არაფერი გინდათ: მთავრობას დაენდობით, მღვდლები შეგიყვარდებათ, მექარხნეებს და მემამულეებს სიყვარულს არ შეუბრუნებთ, სიღატაკეს მოითმენთ და უსამართლობას არ შეიწუხებთო.

გამოდიან სიბნელის თაყვანის მცემელნი და ქადაგობენ: რუსის ხალხო შეერთდი და გაწყვიტე გარეულები და განათლებული კაცები; რუსეთმა ორასი წლიწადია უღალატა თავის წმინდა დანიშნულებას, რომ დაუახლოვდა ევროპას, შემოიღო წვერის მოპარსვა, მოკლე ტანისამოსი, დაარსა სკოლები, გაზეთები; ამ ორასი წლის წინად გაჩნდა რუსეთში მავნე სული, რომელიც იზარდა, იზარდა და დღეს გადაიქცა ერობად, ქალაქის თვითმმართველობად, პროფესორებად, ექიმებად, მწერლებად. რუსის ხალხო! უნდა მოსპო ეს მავნე სული, თუ გინდა, რომ ბოლო მოეღოს შენს ტანჯვა-წვალებასო!

გამოდის მეშჩერსკი და ეუბნება ხალხს: თუ გინდა გეღირსოს რამე ბედნიერება მოითხოვე, რომ დღეში ოც-ოცი როზგი ამოგკრადეს ზემსკი ნაჩალნიკისაგანო!

გამოდის ბიუროკრატიაც, დაუსრულებელ კომისიებს ნიშნავს, ორ-სამ წლიწადს აძლევს, თუ

სი ბრძანება ტფილისის გუბერნიაზედაც იქმნეს გავრცელებული.

◆ როგორც დ. ქიათურიდან გვატყობინებენ, ამ ბოლო დროს **შესამჩნევად გაძლიერდა შავი-ქვის წარმოება.**

◆ 18 სექტემბრისთვის დანიშნულია საგანგებო კრება **ტფილისის სათავად-აზნაურო გიმნაზიის საზოგადოებისა**, ამ გიმნაზიის საკითხების განსახილველად. ხსენებულ გიმნაზიაში ეგზამენები დაიწყება 26 აგვისტოს, ხოლო სწავლა—5 სექტემბერს,

◆ ტფილისის საქონლის **სადგურზე გაფიცული მუშები** ეს მეთოთხმეტე დღეა ვერ მორიგებიან რკინის გზას, რადგან ეს უკანასკნელი არ უთმობს მუშებს. მუშების მაგიერ სალდათებს ამუშავებენ.

◆ როგორც გავიგეთ, **„კახეთის“ ამხანაგობის გამგეობა** და იმისი მოხელენი მორიგებულან, ბოიკოტი მოუხსნიათ და ვაჭრობაც კვლავინდებურად დაიწყო. საზოგადოებამ მისცა მოხელეთ უფლება, რომ ყველა საკითხი, რომელიც-კი მოსამსახურეთ შეეხება, იმათის თანხმობით უნდა გადაწყდეს თუ ეინიცობაა რამე მიზეზით ვერ შეთანხმდნენ, მაშინ საქმე სამედიატორო კომისიას გადაეცემა.

◆ ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით, სოფლის საქმეთა საკრებულოს წევრი შესტაკოვი, როგორც გავიგეთ, სხვა და სხვა საქმეების გამო **გაგზავნილ იქმნა დუშეთის მაზრაში.** ბ-ნი შესტაკოვი დუშეთის მაზრიდან გორის მაზრაში გადავა.

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ ჯალოღლის **გლეხებმა შუამდგომლობა აღძრეს**, რომ წყლის არხის გასაყვანად სესხი მიეცეთ სახაზინო სამეურნეო თანხიდან.

◆ თავ. ივანე გიორგის ძე ჯორჯაძე, როგორც გავიგეთ, ინიშნება **სიღნაღის მაზრის პირველ განყოფილების მომრიგებელ შუამავლად**, ნაცვლად მამუკა ჭავჭავაძისა, რომელიც ტფილისის მაზრაში გადმოჰყავთ.

◆ **სოხუმის ოლქში არსდება ოთხი ახალი სახოფლო სკოლა.** გუვსა, ჩილოვსა, ტალიშსა და ოქუმში.

◆ **სოხუმის ოლქი.** „ნ. ო.“-ის სიტყვით, აზრად აქვთ ორ ნაწილად გაჰყონ: ერთი ნაწილი შეუერთონ ჩერნომორსკის, ხოლო მეორე—ქუთაისის გუბერნიას.

◆ უმაღლესად ნება დართულ იქნა გაიხსნას **შუშაში სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო სემინარია.**

◆ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, **ბათუმის ქალაქის მოურავს თავ. ანდრონიკაშვილს ნიშნავენ** კავკასიის სააბრეშუმო სადგურის უფროსად ბ-ნ შავროვის ნაცვლად, რომელიც სხვაგან გადაჰყავთ.

◆ **ბაქოს გუბერნატორად ნამყოფის თავ. ნაკაშიძის** ქვრივს, როგორც „კავ.“ გადმოგვცემს, ნამესტნიკის შუამდგომლობით, უნიშნავენ გაძლიერებულ პენსიას, სახელდობრ ექვსი ათას მანეთს წელიწადში ახალგაზრდა ქალს მარიამ ქარცივაძეს, რომელიც თავ. ნაკაშიძემ აღზარდა, ენიშნება წელიწადში 600 მანეთი. ეს პენსია ქარცივაძეს გათხოვების შემდეგაც მიეცემა. ერთდროულად ფულით შემწეობა აღმოუჩენიათ აგრეთვე თავ. ნაკაშიძის ძმის გიორგი ნაკაშიძისთვისაც.

◆ სათანადო მთავრობამ განკარგულება მოახდინა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებზე, სადაც საქონლის ჩატვირთ-გადმოტვირთვაა, უსათუოდ დაიკეტოს ხოლმე ბუფეტები იმ დროს, როცა შტატს გარეშე მყოფ ჯარის-კაცებს გაატარებენ, მაგალითად, სამხედრო ბეგრის მოსახდელად გაწვეულთა სათადარიგო ჯარის-კაცებს და სხვა. ბუფეტები აუცილებლად უნდა დაიკეტოს ბაქოსა, ტფილისსა, ბათუმსა და ალექსანდროპოლში. იმ სადგურებში, სადაც მატარებელი 10 წამზე მეტ ხანს არ ჩერდება, შეიძლება ბუფეტები ღია იყოს, მაგრამ ჯარის-კაცებს მაგარი სასმელები არ უნდა მიჰყიდონ.

◆ როგორც გავიგეთ, გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია, **დაარსოს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე სკოლა მოძრაობის აგენტების მოსამზადებლად.**

◆ **ბაქოს ქალაქის თვით-მმართველობას** გადაუწყვეტია ელექტრონის ტრამვაის გამართვა. ამის გამო ბაქოს ქალაქის გამგეობამ სთხოვა ტფილისისას ცნობები აქაური ტრამვაის შესახებ. გამგეობამ აცნობა, რომ ტფილისში განზრახულია ტრამვაის გაყვანა 21 ვერსის მანძილზე. აქედან 13 ვერსზე უკვე წესიერი მიმოსვლაა, ხოლო 8 ვერსზე მიმოსვლა დაიწყება მომავალ 1906 წელს. დღეს 50 ვაგონი მუშაობს, კვირა-უქმე დღეებში კი 60 ვაგონზე მეტი.

◆ ტფილისის **წყლის მეორე მაგისტრალის** მილი დასრულდება 21 აგვისტომდე. ეს მაგისტრალი ქალაქს 200,000 მანეთამდე დაუჯდა.

◆ **გაზეთებში მოთავსებული ცნობა,** ვითომ 21 აგვისტოს მოადგება საექსარხოსოს მიერ სკოლების მაზრის მეთვალყურეთა კრება ახალი პროგრამის შესამუშავებლად, სიმართლეს მოკლებულია.

◆ ამ ჟამად ამიერ-კავკასიის ყველა გუბერნიასა და ოლქში **კრებებია სამაზრო ბეითლებისა.** კრებებმა უნდა გადაათვალიერონ 1879 წლის წესები საბეითლო-სანიტარულ ნაწილის შესახებ. შემდეგ მოხდება საერთო კრება, რომელიც მთელს მასალას საბოლოოდ იქ განიხილავს.

◆ რედაქციამ მიიღო **საყმაწვილო ჟურნალის „ნაკადულ“-ის** მე-14 ნომერი (მცირე წლოვანთათვის).

◆ როგორც თავის დროზედ აღნიშნული გვქონდა, ტფილისის ქალაქის საბჭომ 13,000 მანეთამდე გადასდო ავლაბარში ქალთა სამშობიარო სახლის დასაარსებლად. თავ-შესაფარის მოქმედება უნდა დაეწყო 1 სექტემბრიდან. რადგან ქალაქს ფული არა აქვს, თავ-შესაფარის გახსნა 1906 წლის 1 იანვრამდე გადადო.

◆ ვარაზისხევიდან გამოწერილი ასფალტის ქვის პირველი ნაწილი უკვე მიიღო ტფ. ქალაქის გამგეობამ, დანარჩენსაც ახლო მომავალში მოელიან. სასახლის ქუჩის ასფალტის ქვით დაგებას მალე შეუდგებიან.

◆ ძალიან გაუჭირდა საქმე ტფილისის დურგალთა არტელს. არტელმა დროებით ქარხანა დაკეტა.

◆ როგორც ართვინიდან გვატყობინებენ, 2 აგვისტოს ათიოდეს [illegible] დაუჭრია ართვინის ბოქაული კარტაშევი.

◆ ხარფუხის სკოლის შენობას უკვე ამთავრებენ და სწავლა ახალ შენობაში დაიწყება. ამ შენობის აგება ქალაქს დაუჯდა 21,500 მან.

◆ ავლაბრის პროგიმნაზიისათვის შენობა ინსპექტორმა ი. ს. ღუღაძემ უკვე გამონახა როზოვის მოედანზე. თხოვნები პროგიმნაზიაში შესვლის შესახებ იღება როზოვის მოედნის ახლო, ბეგლაროვის ქუჩაზე, ასტუროვის სახლებში ქალაქის ღედათა პირველ დაწყებით სკოლაში.

[illegible] წლის განმა[illegible] საქალაქო-რონ აღნიშნულ კრებას. (5—[illegible]

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 1000 მან. გადასდო დიდ ხევისა და სხვა იმ არხების გასაწმენდად, რომელნიც ამას წინად ნიაღვრებმა ქვითა და შლამით ამოავსეს.

◆ ვერის სკოლისათვის შენობა ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიამ დაიქირავა კნ. მაჩაბლის სახლში. ხელშეკრულობა უკვე დასდეს. გამგეობამ ქირად წელიწადში 2500 მანეთი უნდა გადაიხადოს,

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 13 აგვისტო. დანამდვილებით ამბობენ, რომ ამ აგვისტოში გამოცხადებული იქნება ამნისტია ზოგიერთ პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ დამნაშავეთათვის. ადგენენ დასჯილთა სიებს.

პირველი სხდომა სახელმწიფო სათათბიროსი განიხილავს შემდეგ საკითხებს: ქალაქის დებულებას, საგლეხო რეფორმას, ებრაელთა საკითხს და საერობო დებულებას.

ხმები სექტემბერში საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ ნაადრევია.

სოფლად

თუშ-ფშავ-ხევსურეთი. კარგა ხანია, რაც მთიდან მცხოვრებთ სხვა და სხვა უსიამო ამბები ჩამოჰქონდათ თიანეთში. ეს ამბები უმთავრესად ეხებოდა ქისტების თავდასხმას სხვა და სხვა დროს ფშაველებისა ან თუშების სოფლებზე. მიზეზი ამ თავდასხმისა ძარცვა გლეჯა იყო. ასე ივნისის ბოლო რიცხვებში მთიდან ჩამოსულმა კაცმა ამბავი ჩამოიტანა, რომ დახკოს მთაზე ქისტებმა, რიცხვით 25—27 კაცმა, თავზარი დასცეს ფშაველებს, რომელნიც ამ მთის მიდამოებში ცხვარს აძოვებდნენო. დაეცნენ, აუტეხნეს სროლა და წაასხეს სამასამდე ცხვარიო. ფშაველებმა იმ წამსვე შეადგინეს მარჯვე ბიჭებისაგან რაზმი, შეიარაღებული კაჟიანის თოფებით და ხმალ-ხანჯლებით, ჩამოუარეს ხევსურებს, შეიერთეს ისინიც, გადაიარეს მოკლე გზა და ჩაუსაფრდნენ ქისტებს. ასტყდა საშინელი სროლა.

გამარჯვება ქისტებს დარჩათ, რადგან მშვენიერი ახალის სისტემის თოფები და მრავალი პატრონა ჰქონდათ. ამ შეტაკების შედეგი: მოკლული აღმოჩნდა 5 ხევსური, 4 ფშაველი და ერთი ქისტი.

არ გასულა დიდი ხანი ამ სისხლის ღვრის შემდეგ, რომ გავრცელდა ხმა, ვითომ ლეკები აპირებენ თავდასხმას და ამისათვის შესაფერ სამზადისში არიანო. მაგრამ ჯერჯერობით არა მომხდარა რა ამ ხმის დასამტკიცებელი. პატარ-პატარა დაცემა, თავდასხმა და ძარცვა-გლეჯა მუდმივი მოვლენაა მთაში. ამას ხალხი დიდი ხანია შეეჩვია. ხალხი ძალზე გაჭირვებულს და უხერხულ მდგომარეობაში იმყოფება. საქმე ის არის, რომ მთის მცხოვრებნი ხევსურები, თუშები, ფშაველები და სხვანი მოკლებულნი არიან იარაღს და იძულებულნი არიან ცარიელის ხელებით დაუხვდნენ გულად სტუმარს, შეიარაღებულს საუკეთესო სისტემის თოფებით.

საიდან შოულობენ ამ თოფებს? კითხულობს ყოველივე, მაგრამ ეს საიდუმლოება გაუგებარი რჩება. თვით თავად ჭავჭავაძეს შესჩივლეს იქაურებმა ამ გვარი თავისი მდგომარეობა. ერთმა მთიულმა აჩვენა თავადს ახალის სისტემის თოფის რამდენიმე ტყვია, რომლითაც ქისტები უმასპინძლდებოდნენ მთიულებს. „საკვირველი ის არისო,—სთქვა ამ მთიულმა:—პოლიცია იგულებს თუ არა, რომ ამა და ამ კაცს თოფი აქვს, იმ წამსვე დაასევენ „სტრაჟნიკებს“ და თუ შენით არ მისცა, ძალით წაართმევენ... ნეტა, ვიცოდე რად უნდა პოლიციას ამოდენა თოფიარაღი? თუ მართლა გული შეგტკივათ ჩვენთვის და ჰსურთ ჩვენი კეთილ-დღეობა, ადგნენ და მოგვცენ ნება თოფების შეძენისა“. მაზრის უფროსი დაჰპირდა შუამდგომლობას და, როგორც „ივერიას“ შეუტყვია, გრაფ ვარანცოვ-დაშკოვს უკვე ნება დაურთავს თოფებისა და პატრონების დარიგებისა.

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, მთაში გაიგზავნა ორი სოტნა ყაზახ-რუსებისა. გაიგზავნა აგრეთვე ქვეითი ჯარი. მათი უფროსობა ვეწ. სტახოვიჩს ჩაჰბარდა: გაგზავნის მიზეზი, როგორც ოფიციალურ წყაროებიდანა სჩანს, არის ახალი თავ-დასხმა ქისტებისა და რამდენიმე ათას ცხვრის მოტაცება. ჯარი გაიგზავნა, რათა ალაგმოს თავ-გასულობა ქისტებისა, რომელნიც ყაზახ-რუსებზედ ნაკლებ არ არიან შეიარაღებულნი და გზები-კი მათზე უკეთ იციან. ქვეითა ჯარზედ ხომ არა ითქმის რა, ვინაიდან მათი მოქმედება ვერავითარ ნაყოფს ვერ გამოიტანს. ამ ჯარის გაგზავნას მცხოვრებნი, ცოტა არ იყოს, სხვანაირად ხსნიან. შეიძლება სცდებოდეს საერთო ხმა, მაგრამ მაინც საინტერესოა მათი აზრი.

—რათ იგზავნება ჯარი მთაში?—დავეკითხე ერთ ხევსურს.

—ამბობენ, ქისტები უნდა ალაგმონო. მაგრამ ისინი მაგათზედ მარჯვე ბიჭები არიან... ვერას დააკლებენ... ჩვენ-კი შუაში გამოგვჭყლეტავენ

—მერე თქვენ რა შუაშია ხართ?—ვკითხე.

—განა არ იცი, რო შარშან სალდათის გაყვანაზედ პირობა არ შეგვისრულეს. ეშინიათ, ვაი თუ წლეულს ურჩობა გავუწიოთ და...

აღარ დაიმთავრა წინადადება ხევსურმა, ღრმად ამოიოხრა და გადგა განზე. შარშან შემოდგომაზე ხევსურებმა უარი განაცხადეს სალდათის გაყვანაზე იმ პირობებში, როგორც ყოველთვის იყო ხოლმე, ე. ი. სადაც უნდოდათ სალდათს იქ უგზავნიდნენ თავს. მათ პირობა დაუდვეს: გამოვიყვანთ სალდათს, თუ ჩვენს სამშობლოს არ მოაშორებთო. დასთანხმდნენ, მაგრამ პირობა არ შესრულდა. ვისაც რა აწუხებს იმაზედა ჩივის და მაზედა აქვს ბაასი, ნათქვამია. და აი სწორედ ასეთ მდგომარეობაშია ხევსურიც. ეტყობა მასაც აწუხებს რაღაცა, რომ ასე გულდასმით ბჭობს ყაზახ-რუსების მთაში გაგზავნაზე.

საერთოდ უკიდურეს მდგომარეობაში არიან არამც თუ მთის, არამედ მთელის თიანეთის მაზრის მცხოვრებნიც. ქისტების დაცემასა და ტაცობაზე ხომ აღარა ითქმის რა! იმდენი სხვა და სხვა ცნობა მოდის მათის თარეშის შესახებ, რომ არ იცი, რომელს დაუჯერო.

ამას წინად ახმეტაში სისტემატიური თავდასხმა იმართებოდა. შებინდდებოდა თუ არა, იმ წამსვე გამოჩნდებოდნენ თავშიშველი კაცები და ილუბდნენ სოფელს. ამ ერთი კვირის წინად თიანეთის მახლობლად, სოფ. საბადურში, სადაც ფოსტის სადგურია, შემდეგი დაუჯერებელი ამბავი მოხდა: შუადღისას სოფლის შუაგულში ხუთი ცხენოსანი თათარი დაეცა ერთ სოფლელს, წაართვეს შვიდი ცხენი და არხეინად გაუდგნენ გზას. ყველანი ჰხედავდნენ ამ ვერაგობას, მაგრამ ხმას ვერავინა სცემდა, რადგან მთელ სოფელში ორი თოფი არ მოიპოვება. კიდევ ბლომად ხდება ამგვარი ამბები, მაგრამ ყველგან ხალხი იძულებულია მოითმინოს, რადგან უიარაღოდ ხმის გაცემას გაჩუმებასა რჩეობენ. ყველა ჰგრძნობს აუცილებელ საჭიროებას იარაღის შეძენისას თავისი თავის და საკუთრების დასაცველად. ვერ მიმხვდარა ამას მხოლოდ ადგილობრივი პოლიცია, რომელიც გრძელ-გრძელ „დანესენიებს“ ჰგზავნის საცა [illegible] არს. ესეც არ [illegible] პოლიცია ხომ ყოველ ნაბიჯზე თავის უძლურებას იჩენს? აბა რამდენი კაცი დაიჭირეს ამ მძარცველთაგანი? არც ერთი. ყაჩაღებიც თავგასულნი ამგვარ უძლურებით თამამად [illegible] და იკლებენ მშვიდობიან [illegible] მიანდონ თვით ხალხს თავისი თავის დაცვა და ჰნახავენ როგორის სისწრაფით აღმოიფხვრება ყოველივე ბოროტ-მოქმედება. მაგრამ ვინ იცის როდის მიხვდება ჩვენი ბიუროკრატია ამას!..

—

ს. გრემი (კახეთი). 10 აგვისტოს დაასაფლავეს ორშაბათს მომხდარ დრამის მსხვერპლნი. გრემის მოედანი წარმოადგენდა მშვიდობიან სოფელს-კი არა, არამედ ბრძოლის ველს, რომელიც მოერწყოთ თავიანთ სისხლით წამებულთ. სურათი მეტად აღმაღელვებელი და საზარელია. ყველას პირისახეზე ეტყობა გლოვის ნიშნები. აქვე ეხედავთ დაჭრილებს. ზოგი ურმით მიჰყავთ ექიმთან და გულ საკლავად ჰკვნესის, ზოგს თუმცა ჭრილობა აწუხებს, მაგრამ მაინც ვალად დაუდვია უკანასკნელი პატივი სცეს თავის მოძმეს.

დაიწყო მიცვალებულების გამოსვენება. შავად შემოსილმა მღვდლებმა და ძაძებში გახვეულმა მრევლმა თითო-თითო ცხედარი გამოასვენეს და ერთად დაასვენეს. სანახაობა აუწერელია და ქვის გული უნდა ჰქონდეს კაცს, უყუროს და გაიგონოს მახლობელთა და ნათესავებთა მოთქმა. მაგრამ, აგერ, 13 წლის ლამაზი ქალი კუბოში წევს და იმას ნორჩ სახეზე გამოიხატება ის მწუხარება, რომელიც მან გამოიარა. ეს ყველას გულსა სწყვეტს, ცამსწრენი ვეღარ იმაგრებენ ცრემლებს, მოისმის მწარე ტირილი. საერთო გლოვა... აუწერელია...

დასაფლავებას დიდ ძალი ხალხი დაესწრო. იყვნენ სხვა სოფლებიდანაც; თელავიდანაც ჩამოვიდნენ. კუბოებს ექვსი-შვიდი წითელ ლენტიანი გვირგვინი ამკობდა. წარმოსთქვეს სიტყვები. პოლიციის ხსენებაც არ იყო.

დამსწრე

ეჩმიაძინი

(შემთხვევითი შენიშვნები)

ერევნიდან თურმე ვერსს საშორზე მდებარეობს სომხის წმიდათა წმიდა ეჩმიაძინი, კათალიკოსის სამყოფელი, ბევრ სომხების კრებულებისა, სამეფო ერის. ეჩმიაძინი ძველი ძველი მონასტერია, რომლის გარშემო მოთავსებულია სომხების სხვა და სხვა დაწესებულებათა შენობები. მგზავრისთვის მონასტრის ზღუდეს გარედ, იქვე ახლო აგებულია საკმაოდ დიდი ქვის შენობა, რომელშიაც რამდენიმე ოთახი დანიშნულია ბინად მგზავრებისათვის. ყველა მგზავრს უფლება აქვს მიიღოს ბინა და ილხინოს სამი დღე-ღამე (უპასპორტოდ მგზავრს არ მიიღებენ). ამასთანავე საჭმელ-სასმელი ეძლევა თავთავის დროზე უფასოდ. სასტუმროს განაგებს არქიმანდრიტი. მგზავრებს თავაზიანად ემსახურებიან მოსამსახურენი. სადილ-ვახშამი ეძლევათ მზადებს ერთნაირი. სამი დღის შემდეგ მგზავრმა უეჭველად უნდა მიაროთვას [illegible] ოთახი. მსურველთ შეუძლიანთ სასტუმროს სარგებლობა შესწირონ ფული, რომელიც ჩაწერის შემწირველის ხელით საკუთარ [illegible] სათვის არსებულ დავთარში. მონასტრის სხვა შენობათა დათვალიერების მსურველ[illegible] ვენ ამის საშუალება.

სასტუმროს შენობის გვერდით [illegible] უმველებული აუზია, რომლის გარშემო დასეირნობენ აკადემიის მოწაფენი და სხვანი. აუზის სისუფთავეზე მოსეირნენი ნაკლებად ზრუნავენ.

სასტუმროს ახლო ახალი შენობაა აგებული [illegible] წიგნთ[illegible]თვის. მუზეუმის შენობა საკმაოდ დიდია, შიგა გაფოფილი დერეფნით. ერთ მხარეს ხელთნაწერებია და მეორე მხარეს არქეოლოგიური ნივთები. სა-

---

რომელს დაწესებულებას როგორი ფორმის ტანისამოსი მოუხდება, თავს იმტვრევს იმის მოსაწყობად, როგორ გაანაწილოს ჩინები და ორდენები, რამდენიმე თვეს იმას ანდომებს, თუ როგორ გააუქმოს უკვე გაუქმებული სანამესტნიკოს კანცელარია, ბიუროკრატებს დღე და ღამე არ სძინავთ რომ ერთმანეთს სამარე გაუთხარონ.

**

შეხოთიდანაც კი მოგვდის ხანდახან განზრახ შეთხზული დეპეშები, რომ რუსეთში ყველაფერი წესრიგზეა და ბრძნულად არის მოწყობილი. სათავადოროს შესახებაც იყო ორი ასეთი დეპეშა.

ჩვენი თავად-აზნაურობის მიდგომაც აგზავნიდა აქეთ-იქით ამ გვარ დეპეშებს: ღვთისა და ჩვენის მეფის წყალობით ჩვენი სამამულიშვილო საქმე კარგად მიდის: ყველანი თანაგრძნობით გვეპყრობიან, გლეხებიც კი შემოდიან ჩვენს რაზმში, ისე სოფლებში არ გვივლით, რომ ვაშა-ვაშა არ შემოგვძახონ! გლეხების ქალები ოიგულებით გვეგებებიან, გვიდგენენ გზას და გამარჯვებას გვისურვებენო! ჩვენი საქმე ნამდვილი სახალხო საქმეა, გლეხებს მოსწონთ და ასე ამბობენ, ისევ ძველი დრო ჯობიაო. თუ კარგი დარი დაგვიდგა, არამც თუ იმას მოვუშობთ, რასაც „ერთობას“ რომ ეძახიან, ძველებურ საზღვრებს. ბატონყმობასაც კი აღვადგენთ და შეიძლება კიდევ სხვა რამეც აღვადგინოთ; ამ საქართველოს რომ ვეძახით ქვეყნის დროს, შეიძლება იმის ბედიც სხვანაირად დავატრიალოთ...

ასეთ დეპეშებს ურიგებდენ მოღალატენი თავის ამხანაგ-მეგობრებს. ასეთ ხმებს ავრცელებდნენ, მაგრამ სინამდვილე სულ სხვა გამოდგა. გლეხებს რასაკვირველია არაფრად მოეწონათ ბატონყმობის მომხრე რაზმი და ვაშას ძახილი კი არა, ყველგან კეტებით დახვდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს; გლეხის ქალები ყველგან წუწკდა კრუხვით მიეგებნენ. თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის ურთი-ერთობა უფრო გამწვავდა და ერთობაც უფრო გაძლიერდა. გასხნდენ ჩვენი რაზმელები, იმედები გაუცრუვდათ, მეგობარ-ამხანაგები მოატყუვდეს, ბატონყმობაც ვერ აღადგინეს და ვერც იმას უშველეს, „საქართველოს რომ ეძახიან ქვეყნის დროს“.

ცოტა არ იყოს შეეცხვათ კეთილშობილ უმაწვილებს: ნუ თუ მართლა არაფრად ვარგებულვართო, ნუ თუ ჩვენმა დროშამ არ უნდა იხილოს ბრძოლის ველი და არ შეიღებოს წითელის სისხლით? ნუ თუ ისე უნდა გადავშენდეთ, რომ არ გვეღირსოს სახელოვანი სიკვდილი და ჩვენი დროშის წარწერა გამოვიდეს სიცრუე და სიყალბეო?

ბევრი იფიქრეს ამის შესახებ რაზმელებმა, მთელი სამი დღის განმავლობაში განუწყვეტელი თათბირი ჰქონდათ და ბოლოს ერთხმად იმ აზრს დაადგნენ, რომ თუ რაზმს არა აქვს გასავალი, იმიტომ, რომ განათლებაა შესული ხალხში, ხალხი რომ წინანდებურად სიბნელით იყოს მოცული, მაშინ ჩვენს მიზანს ადვილად მივაღწევდით, ამისთვის ჩვენი პირველი საქმე დღეს ის არის, რომ ვცემოთ, სადაც კი ვნახოთ განათლებული ადამიანი; მეორე ჩვენი უბედურება ისაა, რომ სისხლით ვერ შევღებეთ ჩვენი „წმინდა“ დროშა, მაგრამ რაკი პირდაპირ არ შეგვიძლია შევებრძოლოთ მტრებს, ამიტომ შევეტევეთ სადმე სახლში ერთ-ერთი მათგანი, მოვკლათ და ამით შევიძინოთ სისხლი შესაღებად დროშისა ჩვენისათ..

არც ამით გვშველა რამე თავად-აზნაურთა რაზმელებს და კიდევ სხვა „საშუალებასაც მიმართეს სულის მოსაბრუნებლად, მაგრამ ყოველივე ამაოდ გამოდგა: დღითი დღე აკლდებათ სიცოცხლე და არ გაივლის დიდი ხანი, რომ აღარ იქნება სახსენებელიც მათი ამ ქვეყანასა ზედა

ახალი ცხოვრება დაიწყო, ახალი ძალა მოდის და განა დასაბრკოლებელს, დაუძლეველს ფეოდალურს რაზმს შეუძლია მისი შეკავება? ვის იმის გონიც გადაეღობება წინ ამ ახალს ძალას, შეუბრალებლად დაისჯება!..

**

აგერ ორ თვეზე მეტია, რაც ერთი მეტად საყურადღებო გაფიცვა მოხდა. გაიფიცნენ „კახეთის“ ამხანაგობის კანტორის მოსამსახურეები, რომელთაც მერმე მიემხრნენ მუშები. საქმის გადასაწყვეტად არჩეულ იქნა სამედიატორო სასამართლო, მაგრამ სასამართლომ ვერაფერი გაარიგა. უთანხმოება გამწვავდა, გაფიცვას მოჰყვა ბოიკოტი ამხანაგობის წინააღმდეგ. მოსამსახურეებმა აწყეს მთელი ინციდენტი გაზეთში, მათ უპასუხა ამხანაგობის გამგეობამ, რომელიც იმართლებს თავს და საზოგადოებისგან ითხოვს სამართლიანს მსჯავრს.

რამ გამოიწვია გაფიცვა? როგორც თვითონ ამხანაგობის გამგეობა მოწმობს, გაფიცვის მიზეზი ის იყო, რომ გამგეობამ დაითხოვა ერთი მოსამსახურე. მოსამსახურეებმა და მუშებმა მოითხოვეს, რომ ამ ამხანაგის დათხოვნა განხილული ყოფილიყო ხელახლა მათთან შეთანხმებით და მომავალში ყოველი მოსამსახურის დათხოვნა თუ მიღება მომხდარიყო ამხანაგების თანხმობით. ამაზე გამგეობამ უპასუხა: ვლაპარაკობთ მომავალ უფლებაზე და რაც უკვე მომხდარა, ვინც უკვე დათხოვნილია, იმის შესახებ ლაპარაკი არ შეიძლებაო.

იბადება კითხვა: ჰქონდათ თუ არა მოსამსახურეებს და მუშებს უფლება მოეთხოვათ, რაც მოითხოვეს? სანამ ამაზე პასუხს გავცემდეთ, უნდა ვიკითხოთ: ვისი შეხედულობით? პატრონის მესაკუთრის, „ხაზეინის“ აზრით მუშებს არა ჰქონდათ ეს უფლება. მუშების აზრით, რომლებიც არსებითად უარყოფენ საკუთრებას და ებრძვიან მესაკუთრის ძალის შესუსტებას, მათ, მუშებს, ჰქონდათ ეს უფლება. მაშასადამე უფლება ორივე მხარეს ჰქონია. დღეს პატრონს მესაკუთრეს „თავისი“ უფლება აქვს, რომ დაიცვას თავისი საკუთრება, მუშებს კიდევ „თავისი“ უფლება აქვთ, რომ ებრძოლონ საკუთრებას, მესაკუთრის გაძლიერებას. „კახეთის“ მუშების უფლებაა, რომ ერთობა და კავშირი იქონიონ ერთმანეთში, რომ ამით უფრო მტკიცედ შეებრძოლონ „ხაზეინებს“, რომ უფრო და უფრო შეზღუდონ პატრონების ძალა და გავლენა მათ საქმეებში, და ამ უფლების დასაკანონებლად სრულებით საჭირო არ იყო სასქვია, დამტკიცება ამხანაგობის გამგეობის მიერ.

ამნაირი პასუხი მისცა სამედიატორო სასამართლომ ამხანაგობის გამგეობას (და სხვანაირიც შეუძლებელია): მუშების შეუზღუდავი უფლებაა, მუდამ იბრძოლონ თავის შრომის სასარგებლოდ მესაკუთრის პატრონის წინააღმდეგ!

**

...როგორც მკითხველს ესმოდა, ამას წინად გვწერდით, რომ ბ. ჟორდანიამ ორნაირი ანგარიში გამოსცა—ერთი თავის მთავრობისათვის, მეორე ქართველ საზოგადოებისათვის; ზოგიერთი განსხვავებაა ამ ანგარიშებში, მაგრამ არსებითად ორივე ერთია. ბ. ჟორდანია ამბობდა, მე მხოლოდ ერთნაირი ანგარიში გამოვეცით.

ამას წინად არქიმ. ნიკანდრმა (სასულ. მოამ.) თავის აზრის დასასაბუთებლად ბ. ჟორდანიას სიტყვები მოიყვანა პირველნაირ ანგარიშიდან, რომ მეგრელები ქართველები არ არიანო, რაც აღვნიშნეთ ჩვენს გაზეთში

ეს არ მოეწონა ბ. ჟორდანიას.

სიტყვა რომ არ გავაგრძელოთ, ერთს წინადადებას მივსცემთ ბ. ჟორდანიას: იმავე ოფიციალურ „სასულიერო მოამბეში“ აგვიხსნას, თუ როგორ მოხდა, რომ მისი ანგარიში გამოვიდა ორნაირი სახით და პირველნაირი ანგარიში, სხვათა შორის, ჩაუვარდა ხელში ცნობილს არქიმანდრიტსაც?..

სიტყვა.

სტუმა და შრომა ეტყობა მხოლოდ ნუმიზმატიკის განყოფილებას, დანარჩენი-კი ვერ არის სისტემატიურად რიგში მოყვანილი. გარდა ამისა ამ არქეოლოგიურ მუზეუმში შიგა და შიგ ისეთი ნივთები და სურათებია მოთავსებული, რომელიც ამტკიცებს არა სერიოზულ შეხედულებას მუზეუმის გამგესი თავის მოვალეობისადმი. მაგალითად, შეხვდებით ჯვრისა ან ხატის სურათებს, სურათს, რომელზედაც დახატულია ხოხობი, საზამთრო, გარეული იხვი და სხვ. გვირგვინები და სხვა. მუზეუმის ახლო ბერების ქსენონებია, რომელთა შორის თვითონ კათალიკოსის საცხოვრებელიც არის, მოწყობილი მეტად მდაბიურად, უბრალოდ. კათალიკოსს არ უყვარს ურმე მდიდრული მოწყობილება და საზოგადოდ მედიდურობა; ცხოვრობს მდაბიურად. სხვათა შორის, ამითიც უნდა აიხსნას მდაბიო ხალხის მისდამი სიყვარული. ქსენონები ეჩმიაძინის მონასტრის გარშემოა, აქვე მეორე გალავანში აკადემიაა, სადაც ყოველ წლიწადს იზრდება და სწავლობს მონასტრის ხარჯით ორას სამოცდაათი მოწაფე. შენობა სრულიად შეუფერებელი და უვარგისია, თუმცა, როგორც ამბობენ, ოცდაათი წლიწადია რაც აგებულია.

აკადემიაშივე მოთავსებულია საკმაოდ დიდი წიგნთ-საცავი აკადემიისა. მოიპოვება შიგ იშვიათი წიგნებიც. კლასები პატარებია და მოუწყობელი. აკადემიის ახლო მოსწავლეების საწოლი სახლია, საკმაოდ ფართო და მაღალის ოთახებით, რკინის ტახტებით, მაგრამ უსუფთაო ლოგინებით. ამის ახლო მონასტრის სტამბაა და საკაზმავი. ერთიც და მეორეც მოუწყობელი და პატარაა. სტამბაში სულ ორი პატარა მანქანა მუშაობს, ცალკე პურის საცხობიც არის აგებული, საიდანაც ბევრს ღარიბს უფასოდ ეძლევა გამომცხვარი პური. აგრეთვე მსურველთ უფასოდ ეძლევათ ყინული მონასტრის საყინულედან. აი ეს არის ეჩმიაძინის დიდება. აქა-იქ ეტყობა დაუდევრობა, საქმის უცოდინარობა.

თითონ ეჩმიაძინის ტაძარი, რომელიც აგებულია, ზოგიერთის სიტყვით, მესამე საუკუნეში და შემდეგ საუკუნოებში გადაკეთებული, შიგნიდან აჭრელებულია თეთრის წამლით. სადაც ძველი მხატვრობა ჩამოსცლია, იქ კირით გაულესიათ ძველის მხატვრობის ადგილის მაგიერ.

სომხები დარწმუნებულნი არიან, რომ პირველი ტაძარი სომხების მიერ ქრისტიანობის მიღებისათანავე აგებული ეჩმიაძინია და რომ გრიგოლ განმანათლებელიც აქ ასაფლავია. მაგრამ ამას უარჰყოფს არქიმანდრიტი ხაჩიკი, რომელიც ამ ერთის წლის წინად ტამბოვის გუბერნიაში იქმნა გაგზავნილი და ამ ორი კვირის წინად მთავრობის ნებადართვით კვლავ დაბრუნდა თავის სამშობლოში.

ეჩმიაძინიდან ხუთი ვერსის მოშორებით აღმოსავლეთისაკენ ამ ხუთის წლის წინად ერევნის გზით მიმავალი მგზავრი დაინახავდა რაღაც ნანგრევებს. ამ ნანგრევებს ყურადღება მიაქცია არქიმანდრიტმა ხაჩიკმა, და მხნედ შეუდგა ნანგრევების თხრას, გამოკვლევას, ძველ ისტორიის შესწავლას. ოთხი წლის განმავლობაში მხნე ხაჩიკმა დიდი ღვაწლი დასდო და აღმოაჩინა ნაქალაქევი, ტაძრების და სასახლის ნაშთი, ქვა, ლურსმული წარწერით, სხვა და სხვა წარწერები სომხური და რომაული. ოთხის წლის განმავლობაში დაუღალავმა შრომამ გაასუფთავა ორმოც-სამოცი ოთხკუთხი საჟენი ადგილი. იქვე მიწის ქვეშ დიდი საიდუმლოებაა. ამ ნაქალაქევს უჭირავს დაახლოვებით ორი სამი ვერსი. ქრისტიან სომეხთა პირველი ტაძარი აქ ყოფილა და არა ეჩმიაძინში. აქვე უნდა იყოს დასაფლავებული გრიგოლ განმანათლებელიც. ასე ფიქრობს არხიმანდრიტი ხაჩიკი იმ საბუთების ძალით, რომლებიც აღმოუჩენია ამ ნაქალაქევის თხრით. ხაჩიკის ამ აზრმა ეჩმიაძინში უკმაყოფილება გამოიწვია თურმე. ხაჩიკს ნივთიერად არ ეხმარებიან, მაგრამ ეს მაინც თავგამოდებით და დაუღალავად მუშაობს შეწირულ ფულით აქვე, ნანგრევებში მუზეუმი გაუკეთებია, სადაც აგროვებს ყველაფერს, რასაც-კი პოულობს მიწის ქვეშ. სასურველია, ჩვენმა არხეოლოგებმა უშველონ და შეერთებულის შრომით განაგრძონ საქმე. შეიძლება აღმოაჩინონ რამე იქ ქართველების წარსულის გამომჟღავნებელიც, როგორც ანისში.

დამატებაში მოგვყავს სამი სურათი ამ საინტერესო ნანგრევების და ორნამენტებისა.

რუსეთის ქრონიკა

სახელმწიფო სათათბიროს პირველი სხდომა. „რ. ვედ.“ სიტყვით, ინიშნება განსაკუთრებული კომისია სახელმწიფო სათათბიროს პირველ სესიის სხდომებისათვის მოხერხებულ ადგილის ამოსარჩევად. სათათბიროს პირველი სხდომები, როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გატჩინოში აღარ მოხდება, როგორც განზრახული იყო.

უნივერსიტეტის პროფესორებს შინაურ მასწავლებლის მოწმობას სთხოვენ: პეტერბურგის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტს ბოგუსლავსკის უთხოვნია სამ კლასიან კერძო სასწავლებლის გახსნის ნებართვა ვარშავაში. ვარშავის სამოსწავლო ოლქის კანცელარიას ამ თხოვნაზე ბოგუსლავსკისთვის უცნობებია, რომ სასწავლებლის გახსნის უფლებისათვის აუცილებლად შინა მასწავლებლის წოდების მოპოვებაა საჭიროთ.

სტამბებში მომუშავეთა ჩხრეკა. ვოლფის სტამბაში პეტერბურგში დღემდის არსებობს თურმე მომუშავეების ჩხრეკა-ძიება. ამისთვის განსაკუთრებული დარაჯია თურმე დაყენებული, რომელიც კარებში დგას სადილისა და მუშაობის გათავების დროს და შინჯავს ყველას, მომუშავე ქალებსაც-კი. („ნ. ჟ.“).

კიდევ „დამოუკიდებელი მიზეზები“. „სარატოვსკაია ზემსკაია ნედელია“-ში რედაქციის შემდეგი შენიშვნაა: „ამ წიგნის სათაურში მოხსენებული წერილები: ბელოკონსკისა „ღღიური საკითხები ხარკოვის საგუბერნიო ერობისა“, ზვიაგინცევისა „სახელმწიფოს ზედამხედველობა და საერობო თვითმმართველობა“ და ზაიკოვისა — „რამდენიმე სიტყვა სარატოვის გუბერნიის ქარხნების მუშათა მდგომარეობაზე“ ვერ მოვათავსეთ ჟურნალში „რედაქციის მიერ დამოუკიდებელ მიზეზთა გამო“. („ბირ. ვედ.“).

სპარსეთის შაჰი რუსეთში. „ნ. ვ.“-ს შეუტყვია, რომ ოც აგვისტოს პეტერგოფში მივა სპარსეთის შაჰი, რომელიც დარჩება რუსეთში ხუთიოდ დღეს.

მუშა პერსინს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტეს ვილნოში. („ნ. ჟ.“).

სტესელის საქმე. „ნ. ჟიზნ“-ის გაუგონია, რომ გენ. სტესელის მიერ პორტ-არტურის გადაცემის თაობაზე დანიშნულ კომისიის გამოკვლევა ვერ მიდის სტესელის სასარგებლოდ. ამასთან, იაპონიიდან დაბრუნებულ გენ. ფოკის, სმირნოვის და ბელის ჩვენებასაც არ ექმნება საკეთილო შედეგი სტესელისათვისაო.

ხალხის გადასვლა კერჩიდან სევასტოპოლში. ამ ბოლო ხანებში დიდძალი ხალხი გადადის კერჩიდან სევასტოპოლში, რაიცა კარგს არას უნდა მოასწავებდეს, რადგან ამას უეჭველად კავშირი ექნება იქ მომხდარ ამბებთან. („ბ. ვედ.“).

ამნისტია. როგორც „რ. სლ.“ გადმოგვცემს, რაკი რუსეთში საერო წარმომადგენლობა გამოცხადდა, მალე ამნისტიაც იქმნება გამოქვეყნებული.

სახელოვან მწერლისა და გრაფების დატუსაღება. ვარშავიდან აცნობებენ გაზეთებს, რომ 2 აგვისტოს იქაურ გენერალ-გუბერნატორს ბინაზე დატუსაღება გადაუწყვეტია პოლონელთა შესანიშნავ რომანისტის სენკევიჩისა და გრაფების ზამოისკის, პლოტერისა და ტიშკევიჩისათვის იმის გამო, რომ ამათ ხელი მოაწერეს პროტესტს პოლონეთის სკოლების გარუსების წინააღმდეგ და ეს პროტესტი რუსულ გაზეთებში გამოაქვეყნეს. („რ. ს.“).

ყრილობა და კრება სოფლის სკოლაში. ადესიდან იწერებიან, რომ საერო სკოლების ინსპექტორებს მიწერილობა გაუგზავნიათ სოფლის სკოლის მასწავლებელთათვის, რომ იმათ კერძო ან სახელმწიფო სასწავლებლების შენობებში მთავრობის ნებადაურთველად არავითარი კრებისა და ყრილობის ნება არ მისცეთ, თუ ამ კრებებს სწავლის საქმესთან რამე დამოკიდებულება არ ექნება. სადაც ამგვარი კრებები და ყრილობები მოხდება, ის სკოლა დაიხურებაო. („ნაშა ჟ.“).

ვის აქვს არჩევნებში მონაწილეობის უფლება. ახლად გამოქვეყნებულ კანონის ძალით ამომრჩევლობის უფლება ეკუთვნის, სხვათა შორის, ისეთ ბინის პატრონებს, რომელნიც სახლის გადასახადს ოთხ თუმან-ნახევარზე ნაკლებს არ იხდიან წელიწადში, ე. ი. ვისი ბინაც 1,440 მანეთზე ნაკლების ფასისა არ არის. ამ გვარ ბინის დამქირავებელთა უმრავლესობას სხვა ქონებრივი ცენზიც აქვთ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად. („რ. ს.“).

თავად-აზნაურთა გახიზვნა მოძრაობის შიშით. „ს. ოტ.“-ა გვაცნობებს, რომ კურლიანდიის თავად-აზნაურთა ოჯახობა, გლეხთა მოძრაობით შეშინებული, კენის-ბერგში იხიზნება. ცოლები შვილებითურთ ამ თვეებს პრუსიაში გაატარებენ, ხოლო მამაკაცები ბალტიის გუბერნიებში დაბრუნდებიანო.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

12 აგვისტო

პორტ-სმუტი, 12 აგვისტო. იუწყებიან, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უარ-ჰყო იაპონიის წინადადება კონტრიბუციის შესახებ მუხლის გამორიცხვაზე იმ პირობით, რომ რუსეთმა სახალინის ჩრდილოეთის ნაწილი გამოისყიდოს. იაპონიის სარწმუნო სახელმწიფო მოღვაწემ განაცხადა, ოთხშაბათს წარდგენილი იაპონიის მოთხოვნები არაა იაპონიის მოთხოვნების მინიმუმიო. შესაძლებელია შემდეგი დათმობა. პროფესორ მარტენსმა გადასდო ევროპაში წასვლა.

პარიზი. გაზეთ „მატენ“-ს დეპეშით აუწყებენ კარლსბადიდან, რომ ვიტტე, მოლაპარაკების შემდეგ, სამს კვირას კარლსბადში დაჰყოფსო.

პეტერბურგი. ვლადივოსტოკის ცნობებით იქ ცხოვრება ჩვეულებრივია.

კიევი, სახელმწიფო სათათბიროს გამოცხადების სახსოვრად განზრახულია დაარსონ ორი სკოლა.

პეტერბურგი, 12 აგვისტო. პოლიციის დეპარტამენტი იუწყება: ბალტიის მხარეში საზოგადოებრივ მოძრაობას ლატიშთა შორის, რომელიც მეტად გაძლიერდა გასულ საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, წლევანდლამდე თითქმის მარტო ეკონომიური ხასიათი ჰქონდა და მიმართული იყო ადგილობრივ თვით-მმართველობაში ლატიშებისთვის უფლებების მოპოვებისაკენ. მაგრამ 1903 წ. მოწყობილი ამ მშვიდობიან ბრძოლაში აშკარად დაიწყო მონაწილეობის მიღება მეოთხმოცე წლებში აღორძინებულმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელთანაც ერთად, თუმცა კი მისგან დამოუკიდებლივ, მოქმედებას შეუდგა სოციალისტ-რევოლუციონერთა მავნე ორგანიზაცია, რომელმაც საჯაროდ თავისთავს „ლატიშ მუშათა კავშირი“ უწოდა. ამ პარტიათა აგიტაციის შედეგად ქალაქისა და სოფლის მუშებს შორის, ბალტიის მხარეში, უკანასკნელ დროს, საზოგადოებრივმა მოძრაობამ ბევრ შემთხვევაში, ცხარე რევოლუციონური ხასიათი მიიღო, ზოგჯერ ანარქიულიც და საზოგადოებრივისა და სახელმწიფო ცხოვრების წყობილების შეუბრალებელ გამანადგურებლად გადაიქცა; ამასთან არ ინდობნენ არც რელიგიას, არ ერიდებოდნენ ადამიანის კვლას, ზიზღით ეკიდებოდნენ კერძო საკუთრებას და, ასე გასინჯეთ, ადამიანის პირადობასაც კი, რომელიც, სხვათა შორის, საბოლოო მიზნად აქვთ დასახული რევოლუციონურ პარტიებს და რომელსაც ცხოვრებაში ჰპოულობენ ასეთ გამანადგურებელ მოქმედების წარმატება, რომელსაც თან მოსდევს მთელის მხარის კეთილ-დღეობის დაცემა და განადგურება, უმეტესად ადგილობრივ მცხოვრებთა ტერორიზაციით აიხსნება; იმავე დროს პროკლამაციებისა და არალეგალურ გამოცემების შემწეობით, მათ რიცხვში ლატიშურ გაზეთ „პეტერბურგასავიზეს“-ისა, რომელიც უკანასკნელ დრომდე პეტერბურგში გამოდიოდა, ამ მცხოვრებთა უმეტესობას შორის გაძლიერებული აგიტაციაა მთავრობის წინააღმდეგ, რითაც მხარს უჭერენ ხალხის პასიურ დამოკიდებულებას რევოლუციონერების მოქმედებასთან. მეტად გაძლიერდა მოძრაობა მიმდინარე წლის პირველ თვეებიდან. (შემდეგი იქნება).

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

12 აგვისტო

ნიუ-იორკი, 12 აგვისტო. ზავის შესახებ საკითხი ისევ ისეთ მდგომარეობაშია. დღეს ელოდებიან მის გადაწყვეტას, თუ ორივე მხარე დაუთმობს ცოტას. იმედი აქვთ მოლაპარაკების გაგრძელებისა.

გუნჯულინი. იაპონელებმა თავი მოუყარეს პატარა გემებს ამურის შესართავთან და თევზებს იჭერენ.

გუნჯულინი. იაპონელები ჯარებს აძლიერებენ. შესავსებლად ახალ-გაყვანილები და ტერიტორიალური ჯარები მოჰყავთ; ეს ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენები არ დათმობენ.

ნიუ-იორკი. გერმანიის საქმეების რწმუნებული ბუშე არღვევს ხმებს, ვითომ ვილჰელმი ცდილობს დაარწმუნოს რუსეთი, არ მიიღოს იაპონიის პირობები.

პორტ-სმუტი, 12 აგვისტო. იაპონიის ერთ კორესპონდენტთაგანის სიტყვით, მან, ტაკაჰირასთან ერთის საათის ლაპარაკის შემდეგ, ტელეგრაფით აუწყა ტოკიოში, რომ ხვალ დასრულდება კონფერენცია. რუსეთი თუ აღარ დაუთმობს, იაპონია მეტს აღარ შეამსუბუქებს თავის მოთხოვნებს, ვინაიდან არმია და ხალხი არ მისცემს ნებას. მდგომარეობა წინანდელზე უარესია.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი.**

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის [illegible]იდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.

ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, [illegible] ანგარიშის [illegible] გამგეობისაგან სესხის [illegible] დაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მესესხეებელთაგან მიღება, ვადამდის ვალების მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, იჯარით გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. [illegible]ბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/a, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 115. (V.)

!! ერიდეთ ფალსიფიკაციას !!

ჰიგიენური საპონი
ბორნო-ტიმოლისა,
პროვიზორის
ი. ფ. იურგენსისა

სპობს ჭორფლსა, ყოველგვარ მუწუკს, სიყვითლესა და კანის დამწვრობას; მოქმედობს მეტის მეტ ოფლიანობის წინააღმდეგ. მშვენიერის სურნელების, საუკეთესო სატუალეტო ჩ მაღალის ხარისხის საპონია. ოქროს მედალი, ლონდონში 1903 წელს.

ერთი ნაჭერი ღირს 50 კაპ., ხოლო ნახევარი 30 კაპ.

ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიაში.

უმთავრესი საწყობი მთელის რუსეთისათვის გ. ფ. იურგენსთან, მოსკოვში. (მც. 14—4)

1865 მოსკოვი. 1870 პეტერბურგი 1882 მოსკოვი 1896 ნიჟ.-ნოვგოროდი.

კალოშებისა
და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს 1860 წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას „С.-Петербургъ“ წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანი).

ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელერი“
პეტერბურგს, მოსკოვს, რიგას, ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, ტაშკენტში. და ტფილისს

„ცოდნა“ ქართული წიგნის მაღაზია
ტფილისი, ქვაშვეთის ქუჩა, არჯევანიძის სახლი (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ).
ისყიდება ყოველგვარი ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები.
მიზანი „ცოდნის“ მაღაზიისა არის გავრცელება ხალხში და საზოგადოებაში გამოსადეგ, სასარგებლო და ყველასთვის ხელ-მისაწდომ წიგნებისა. **მსურველთ** წიგნები გაეგზავნებათ ფას დადებითაც.
ისყიდება **დარბაზის მოსართავათ ქართველი მწერლების დიდი სურათები 30 კ. 50 კ.**
ადრესი: Тифлисъ, книжный магазинъ „ЦОДНА“.
(წდ.) წიგნის მაღაზიის გამგე **სოსიკო მერკვილაძე.**

მამა დავითის გორაზე
ფუნიკულერის სადგურის მახლობლად გაიხსნა
ბუფეტი
„ბანდეგილი“

ევროპიდან მოწვეულია თავისუფალი მემუსიკეთა დასი. სასმელ-საჭმელი მზადდება ევროპიული და ქართული. ყველა გემოვნობის საჭმელია, გურული ხარჩო და ლომი ფას დაკლებით. ყველაფერი ხელ-მისაწდომად. სადილი 1-ლ საათიდან. მუზიკა დაიწყებს დაკვრას 1-ელ საათიდან. სადილი ორი ბლუდი ათი შაური. ან ყავით და ან ჭიქა არყით სამი ბლუდი თხუთმეტი შაური (75 კ.), ოთხი ბლუდი 1 მან. ჭიქა არაყი და ჭიქა ღვინით. მსურველს შეუძლია მუსიკა მიიწვიოს ყოველსავე შეკვეთილში.
(3—309—2) პატივისცემით დ. ხუნდაძე.

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული ბილგორდტ ლოკმ.
გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისკის) ქუჩა, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—23)

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტლინი, სამჭედლო და სალესარო საქმეებს. საქმებს პირნათლად და კარგად აკეთებს ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, ოქროევისა. (30—27)

◆ კბილებს ◆
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იოხველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—22)

ბუხჰალტერი-სპეციალისტი
(წელიწადი მესამე)

ამზადებს წელს ბევრად ვრცელ პროგრამით როგორც ვაჟებს, ისე ქალებს, თეორიულად და პრაქტიკულად, 1) ორმაგ იტალიანურ და მარტივ ბუხჰალტერიასა, 2) საზოგადო სავაჭროსა, 3) ბანკისას 4) კომერციულ არითმეტიკასა (საშუალო კომერც. სასწ. კურსისა), 5) ფინანსიურ გამოანგარიშებასა, 6) არითმეტიკას საანგარიშო ჩოთქით, 7) კომერციულ კორესპონდენციასა, 8) ვაჭრობის ისტორიასა, 9) ვაჭრობის უფლებასა და ვექსილის კანონებისა.
(ბანკის ბუხჰალტერია და ვაჭრობის ისტორია მსურველთათვის).

სწავლა ყოველ დღე, საღამოს 5-დან 7 საათამდე. სწავლა ოთხ თვეს გასტანს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ. ფასი მთელი კურსისა 60 მანათი. სწავლა დაიწყება ენკენისთვის 10-ს 1905 წ.

ადრესი: ტფილისი, **ალ. ზ. საათაშვილს,** მეორე თუმანოვის ქუჩა, სახლი 17 (კუკიაში), მე-9 ნაწილში. პირადად მოსალაპარაკებლად ყოველ დღე, საღამოს 4-დან 8 ს-დის, კვირა-უქმეობით კი—დილის 9-დან 2 საათამდის.

მსმენელთ წელს გავაცნობ აგრეთვე სხვა საბუხჰალტერიო სისტემებსაც.

ვამზადებ ზემო-აღნიშნულ საგნებში აგრეთვე იმათ, რომელთაც საღამოს 7-დან 8 საათამდის შეეძლებათ სწავლა და, ამასთანავე, თუ ბუხჰალტერიის შესასწავლად დასჭირდებათ, საზოგადო არითმეტიკასა და რუსულ ენაშიაც. სწავლა გასტანს რვა თვეს. სწავლის გათავების შემდეგ ატესტატი მიეცემათ.

პროგრამა კურსებისა მსურველთ ეძლევათ და ეგზავნებათ უფასოდ.

(14—9) **ალ. ზ. საათაშვილი.**